სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 29 ნოემბერი 2005 №274 (2597) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

RONALD'OR



AFP ბარი ზიდან

ოქროს ბურთი ბურთისთვის გაჩენილ რონალდინიოს

„ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვით, ევროპის 2005 წლის საუკეთესო ფეხბურთელი და „ოქროს ბურთის“ ლაურეატი ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ვარსკვლავი რონალდინიოა! ეს გახლდათ პრესტიჟული ფრანგული ჟურნალის ორმოცდამეათე რეფერენდუმი, რომელშიც 26 წლის თავდამსხმელმა გაიმარჯვა.

— დღეს ბავშვობის ოცნება ავიხდინე — განაცხადა ბარსელონელმა წუხანდელ პარიზულ გალაზე — წინასწარ მეუბნებოდნენ, რომ „ოქროს ბურთის“ კანდიდატთა შორის ფავორიტი ვიყავი, მაგრამ ყურს არ ვუგდებდი. ამიტომაც ვგრძნობ თავს განსაკუთრებით ბედნიერად.

— პირველად ბრაზილიელთაგან ეს პრიზი რონალდომ მოიგო და ამან აღმაფრთოვანა, მაგრამ მისი მიღწევის გამეორება მიზნად არ დამისახავს, რადგან მე ფეხბურთელი ვარ, ფეხბურთი კი გუნდური თამაშია. ფეხბურთში მიზანი შეიძლება მხოლოდ გუნდთან ერთად გამარჯვება იყოს, ამიტომ ეს „ოქროს ბურთი“ ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა და მათ ვუძღვნი.

— საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, თუმცა, წლევანდელი მიღწევების ჩამოთვლა შემიძლია. ეს ესპანეთის ჩემპიონობა და ფიფას კონფედერაციათა თასია.

— ბავშვობაში ავტოგრაფების დარიგებაზე ვოცნებობდი და ამიტომ ამაში მომაბეზრებელს ვერაფერს ვხედავ. როცა გაქებენ და უყვარხართ, ეს ყოველთვის კარგია, თავს კი იშვიათად თუ ვინმე მესხმის.

— იმედი მაქვს, „ოქროს ბურთს“ კიდევ ბევრჯერ მოვიგებ.

რონალდინიო	ბარსელონა/ბრაზილია	225
ფრენკ ლამპარდი	ჩელსი/ინგლისი	148
სტივენ ჯერარდი	ლივერპული/ინგლისი	142
ტიერი ანრი	არსენალი/საფრანგეთი	41
ანდრეი შევჩენკო	მილანი/უკრაინა	33
პაოლო მალდინი	მილანი/იტალია	23
ადრიანო	ინტერი/ბრაზილია	22
ზლატან იბრაჰიმოვიჩი	იუვენტუსი/შვედეთი	21
კაკა	მილანი/ბრაზილია	19
სამუელ ეტოო	ბარსელონა/კამერუნი	18
ჯონ ტერი	ჩელსი/ინგლისი	18

ტოპმოლარი, ნევსკენსი, ფლორო

ფედერაციამ ოთხი გამოარჩია

სრეჩკო კატანეცი:

...საქართველოში მუშაობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ დამიკავშირდებიან, მოლაპარაკებისთვის მზად ვარ...

ინტერვიუ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის სლოვენიელ კანდიდატთან იხილეთ მეორე გვერდზე

ბადრი კეთილაძის ფოტო

კატანეცმა იცის, კატანეცი ელის

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის სავარძელი გაციებული არ იყო, გაიოზ დარსაძის შესაძლო მემკვიდრედ სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი რომ დაასახელეს. საიდან, როგორ, ვისი იდეა გახლდათ კატანეცის კანდიდატურა, ზუსტად ვერ გეტყვით. თუმც, ფაქტია, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატი სადღეისოდ სწორედ ეს სპეციალისტი ჩანს და ეს ამბავი ფედერაციის კულუარებშიც ხშირად ისმის.

სრეჩკო კატანეცმა კარგი მწვრთნელის სახელი ხუთი წლის წინ დაიგდო, როცა იქამდე უსახელო სლოვენიის ნაკრები ბელგია-ჰოლანდიის ევროპის ჩემპიონატზე ათამაშა, თუ გახსოვთ, იმ შესარჩევ ციკლში სლოვენიამ საქართველოს ოთხი ქულა აართვა, პლეი ოფში უკრაინას აჯობა და ჩემპიონატის საგზური მოიპოვა; ორ წელიწადში კი კატანეცმა მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაიყვანა გუნდი.

მას მერე სრეჩკო კატანეცის სახელი უმაღლეს დონეზე აღარ გაუღერებულა. ახლა კი...

— დიახ, ვიცი, რომ საქართველოს ნაკრები ახლა უმწვრთნელოდაა და მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი მეც ვყოფილვარ — გვითხრა გუშინ სრეჩკო კატანეცმა — ვნახოთ, ჯერ მხოლოდ ეს ვიცი.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან უკვე დაგიკავშირდნენ, ოფიციალური წინადადება მიიღეთ?

— არა. საქართველოდან არავინ დამკავშირებია და არც ოფიციალური წინადადება მიმიღია.

— მაშ საიდან იცით, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი ხართ?

— ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ვიცი. შეგობრებმა მითხრეს...

— მერე, თქვენ რას ფიქრობთ?

— საქართველოდან თუ სიტყვას მეტყვიან, დავფიქრდები. ჩემით დაინტერესების გარდა, ჯერ სხვა არაფერი ვიცი და, ბუნებრივია, კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

— შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკების წინააღმდეგი არ ხართ?

— წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო?! მოლაპარაკებამდე ჯერ წინადადება უნდა მივიღო, პირობებს გავეცნო.

— მისაღები პირობების შემთხვევაში, დათანხმდებით საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას?

— წინასწარ ძნელია ლაპარაკი. ჯერ კონკრეტული წინადადება უნდა იყოს. ისე კი, საქართველოში მუშაობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუმც ერთხელაც ვეტყვით, ჯერ ეს ჩემთვის არავის შემოუთავაზებია.

— საქართველოს ნაკრებთან თქვენს გუნდს ადრე ორჯერ უთამაშია. შეგიძლიათ მაშინდელი და ახლანდელი საქართველოს ნაკრების შედარება?

— არ შეშიძლია, რადგან საქართველოს ნაკრები ბოლო დროს საქმეში არ მინახავს. თუმცა ქართველ ფეხბურთელებზე საკმაოდ დიდი წარმოდგენა მაქვს და კარგად ვიცი, რომ საქართველოში ძლიერი საფეხბურთო სკოლაა, ტალანტები მრავლად იზრდებიან. ის გუნდიც საკმაოდ ძლიერი იყო, რომელსაც სლოვენია შეხვდა. ბევრი თქვენიანი კი ახლა უმაღლეს დონეზე თამაშობს. მოკლედ, ვიცი საქართველო და ქართული ფეხბურთი.

— მერე?

— თუ საქართველოდან დამიკავშირდებიან, მოლაპარაკებისთვის მზად ვარ.

კოგა ინასარიძე

ფედერაცია მწვრთნელებს თბილისში ეთამაშება

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ვიცე-პრეზიდენტებთან ერთად თათბირი გამართა — თავყრილობა ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის უცხოელი მწვრონელის შერჩევას ემსახურებოდა.

ამ დროისთვის სხვათაგან გამორჩევით ოთხი კანდიდატურა განიხილება: კლაუს ტოპმიოლერი, სრეჩკო კატანეცი, ბენიტო ფლორო და იოჰან ნეესკენსი.

გუშინდელ თათბირზე გადაწყდა, რომ ფედერაცია იმუშავებს, რათა ტოპმიოლერი და კატანეცი თბილისში ჩამოიყვანოს, ასე ვთქვათ, ადგილზე გააცნოს ვითარება და მოლაპარაკებაც აქ გაიმართოს.

ტოპმიოლერს ფედერაცია ერთ-ერთი აგენტის მეშვეობით უკვე ესაუბრა და ჰერ კლაუსი თანახმაა, თბილისში ჩამოვიდეს.

რაც შეეხება კატანეცს, მას თურქმა აგენტმა ბაირამ თუფუმლუმ „პაემანი" უკვე ჯაუნიშნა — თუთუმლუ კატანეცს 1 დეკემბერს შეხვდება, მაგრამ არა თბილისში.

ეს ყველაფერი იმას არ ნიშნავს, რომ ფლორზე და ნეესკენსზე ფედერაციამ ხელი ჩაიქნია. არც ისაა გამორიცხული, ამ ოთხეულის გარდა ფედერაციამ სხვა მწვრთნელებთანაც წამოიწყოს მოლაპარაკება.

დავით თავგართქილაძე

ივო შუშაკი ჩამოდის

ივო შუშაკი საქართველოში ბრუნდება — ხორვატი სპეციალისტი დეკემბრის პირველ ნახევარში თბილისში ჩამოვა.

ხორვატიის ჩემპიონატის პირველი წრე 4 დეკემბერს ჩამთავრდება და შუშაკსაც შვებულება დაეწყება. შეგახსენებთ, თბილისის „დინამოს" და ჩვენი ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ახლა ხორვატიულ „ოსიეკს" თავკაცობს.

საქართველოს ნაკრებისთვის უცხოელ მწვრთნელს მალე აირჩევენ, თუმცა შუშაკის კანდიდატურა საერთოდ არ განიხილება და მის დეკემბრის ვიზიტსაც სულ სხვა მიზანი აქვს — მას აქაურობა და აქაური მეგობრები მოენატრა.

ბადრი კეთილაძის ფოტო

...შუშაკზე კამათობენ როგორც მწვრთნელზე, მაგრამ არა როგორც პიროვნებაზე.

დავით თავგართქილაძე

გიორგი ქინქლაძე ინგლისში მიდის და რუბინზე ფიქრობს

32 წლის გიორგი ქინქლაძეს ყაზანის „რუბინთან" სამთვიანი კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა ინგლისში მიდის.

„რუბინმა" რუსულ პრემიერლიგაში მეოთხე ადგილი დაიკავა, რითაც უეფას თასის საგზური მოიპოვა, ხოლო ქინქლაძის საკითხი ჯერ ბურუსითაა მოცული.

— ახლა მოსკოვში ვარ, საიდანაც ინგლისში მივემგზავრები და ზუსტად ჯერ არ ვიცი, რომელ გუნდში გავაგრძელებ თამაშს.

— „რუბინმა" კონტრაქტის გაგრძელება არ შემოგთავაზა?

— შემომთავაზა, მაგრამ რა ვადით და რა პირობებით, ეს ჯერ გაურკვეველია. კლუბმა ჯერ მწვრთნელთან უნდა გააფორმოს კონტრაქტი და მერე ვნახოთ...

— ინგლისში რატომ მიდიხარ? ალბიონიდანაცაა რაიმე შემოთავაზება?

— არა, ინგლისში უბრალოდ შვებულებას გავატარებ.

— გინდა, რომ „რუბინში" დარჩე?

— ალბათ, ასე იქნება.

დავით თავგართქილაძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

საფრანგეთი

II დივიზიონი. XVII ტური

გრენობლი 2:1 შატორუ

გერმანია

II ბუნდესლიგა. XIV ტური

კოტბუსი 1:2 ფიურტი

ინგლისი

ჩემპიონატი. XXI ტური

კარდიფი 2:1 იფსვიჩი

LDV VANS TROPHY

1/16 ფინალი

უოძინგი 1:1 (დ.დ.1:5) *ჩელტენჰემი*

იტალია

სერია B. XVII ტური

ვერონა 1:2 კატანია

სერია C1/A. XIII ტური

სან მარინო 1:2 ტერამო

ჰოლანდია

II დივიზიონი. XX ტური

აპელდორნი — გრაფშაფი *გადადო*

ეძსელსიორი 3:0 ჰელმონდი

დენ ბოსხი 1:1 ალმერე

დორდრეხტი 2:2 ჰაარლემი

ეინდჰოვენი — ოსი *გადაიდო*

ვოლენდამი 0:0 მაასტრიხტი

იგლსი — ემენი *გადაიდო*

ტელსტარი 1:0 კამბური

ვეენდამი 2:2 ზვოლე

ვენლო 1:1 სიტარდი

პორტუგალია

სუპერლიგა. XII ტური

ჟილ ვისენტე 0:1 პორტუ

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XI ტური

ოლიმპიაკოსი 2:1 ირაკლისი

შოტლანდია

ასოციაციის თასი. I ეტაპი

ალოა 9:0 სელკირკი

სტენჰაუზმური 3:2 ისტ სტირლინგი

ნოემბრის პასიანსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ, ჩვენ ვეძებთ მწვრთნელს.

თანაც, „ჩვენში“ არ ვგულისხმობთ მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციას, რომლის უშუალო მოვალეობასაც წარმოადგენს ეს საშური საქმე. მწვრთნელს ვეძებთ ყველანი და ძიების პროცესმა, შეიძლება ითქვას, სახალხო მოძრაობის სახეც მიიღო. ფედერაცია, ჟურნალისტები, ფეხბურთელები, გულშემატკივრები... მთავარია, არ დაგეზაროს და, ან უმუშევარი მწვრთნელები გაიხსენო, ან ისეთები, დღე-დღეზე რომ უმთავრდებათ კონტრაქტი. ფასიც ვიცით, სადღაც მილიონის ფარგლებში.

მოკლედ, ვეძებთ. მძებნელებიც ბევრნი ვართ. შედეგი? ბოლო დღეების გაზეთებს თუ გადაავლებთ თვალს და ფედერაციასა და გულშემატკივრებსაც თუ მიუგდებთ ყურს, 10-15 კაციანი სია გამოგვივა. ერთი სიტყვით, ასარჩევები არცთუ ცოტანი არიან.

ქვემოთ ამ დღეებში გაჟღერებული (პოლიტიკოსთა საყვარელი სიტყვაა) მწვრთნელების ავკარგიანობის შეფასებას შევეცდებით...



კლაუს ტოპმიოლერი

+ პატარა ქალაქ ლევერკუზენის გუნდი, სადაც აეროპორტიც არ არის, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა და დაამტკიცა, რომ წარმატებას მხოლოდ უმდიდრესი გუნდები არ აღწევენ.

- თვალსაჩინო ნაკლოვანებები არ აქვს.

= რამდენს მოითხოვს?

ბრუნო მეტსიუ

+ წინა მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი აღმოჩენა არა სამხრეთ კორეა და თურქეთი, არამედ, მისი გაწვრთნილი სენეგალი იყო.

- თვალსაჩინო ნაკლოვანებები არ აქვს.

= კარგი ვარიანტია.

ბორა მილუტინოვიჩი

+ მექსიკა, შეერთებული შტატები, კოსტა რიკა, ნიგერია და ჩინეთი: ერთადერთი მწვრთნელი, რომელმაც ხუთი ქვეყნის ნაკრები ათამაშა მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

- ჰქონია ჩავარდნებიც. მაგალითად, ნიუ იორკის „მეტროსტარზში“ მუშაობისას — ამ კლუბს არსებობის მანძილზე ყველაზე უარესი შედეგი ჰქონდა.

= ნიუიორკელთა ჩავარდნა რა მოსატანია ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატთან შედარებით?!

რუუდ გულიტი

+ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი. „ჩელსის“ და „ნიუკასლის“ ყოფილი თავკაცი.

- როგორც მწვრთნელი, ავტორიტეტით ვერ დაიკვეხნის, განსაკუთრებით კი „სექსუალური ფეხბურთის“ ქადაგების მერე

= ვეჭვობთ, გუნდის საბრძოლოდ განწყობა მაინცდამაინც კარგად გამოუვიდეს

იოჰან ნეესკენსი

+ მას მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გოლი აქვს გატანილი.

- როგორც მწვრთნელმა, ჯერ-ჯერობით აბსოლუტურად ვერაფერს მიაღწია.

= დიდი ფეხბურთელები, მწვრთნელობაში რომ ვერ ივარგეს, ჩვენებიც საკმარისად გვყავს.

ფრანსისკო მატურანა

+ თექვსმეტი წლის წინ ლიბერტადორესის თასი მოიგო, ცამეტი წლის წინ კი „კოპა ამერიკა“.

- მას მერე ცუდი შედეგების გამო ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდება.

= რამ გაგახსენათ მატურანა?

ვინი შეფერი

+ მისმა გაწვრთნილმა კამერუნის ნაკრებმა შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია.

- ბოლო რამდენიმე წელია, თვალთახედვის არეში არ მოხვედრილა.

= იმედი უნდა გვქონდეს.

ალფიო ბასილე

+ არგენტინას ორჯერ მოაგებინა „კოპა ამერიკა“, მერე კი აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ათამაშა.

- იმ მუნდიალზე არგენტინა წვალებით, პლეი ოფით მოხვდა, ამერიკაში კი, მარადონას მხილების და მოკვეთის მერე ნაკრები მყისიერად დაენგრა.

= დიდი სპეციალისტია, ოღონდ გუნდში მარადონა უნდა ჰყავდეს.

ბერტი ფოგთსი

+ 1996 წელს გერმანია ევროპის ჩემპიონი გახადა.

- შოტლანდიის ნაკრებმა მის ხელში წინ ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგა.

= ნუ, სხვა იუ არავინ იქნა...



სრეჩკო კატანეცი

+ სლოვენიის ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გაიყვანა. ახალგაზრდა, ენერგიული და ამავე დროს გამოცდილი მწვრთნელია. მის გარდა ვერავინ გაბედა სლოვენიელთა ვარსკვლავის, ზლატკო ზაჰოვიჩის თავნებობის ალაგმვა.

- ბოლო სამი წელია, ვერც მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია და ვერც უმნიშვნელოს.

= რაც სლოვენიის ნაკრებით შეძლო, საქართველოს ნაკრებით ვერ შეძლებს?

კარლოს ბილარდო

+ მისი მიღწევებიდან ერთის დასახელებაც საკმარისია — მან არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.

- დიდი ხანია, პენსიაზეა გასული.

= ვეჭვობთ, ამ მხცოვან კაცს, საქმეში მობრუნების შემთხვევაში, ენერგია ეყოს. თან ის არგენტინა მარადონას დროინდელი იყო.

ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ
ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲠᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲚᲘ�გᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 17 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ
15 ᲢᲣᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 28 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 14 ᲡᲐᲐᲗᲘ. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ. 300 (ᲢᲔᲕᲐᲓᲝᲑᲐ 1 500)

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ 0:6 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ

0:1 სირბილაძე (3), 0:2 სირაძე (27), 0:3 დემეტრაძე (44 ს.კ.), 0:4 ქებაძე (67), 0:5 რამონი (80), 0:6 რ. ონიანი (86)

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ	ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
ლაძაძე, თ. მჭედლიშვილი, ჯანგიძე, იმნაიშვილი, ელიზბარაშვილი, ურუშაძე, თ. დემეტრაძე (მაღლაფერიძე 46), ტაბიძე, ხუბუა, მალიჩავა (დანელია 46), ღუჭაშვილი	გრ. ჭანტურია, გ. ონიანი, მახვილაძე, რ. ონიანი, ინომოვი (ყიფიანი 59), სირაძე, ქებაძე, სეთურიძე (პანოვი 64), საჯაია, კახელიშვილი (რამონი 46), სირბილაძე
სათადარიგონი: ჩაფიძე, გაგნიძე, ჩანტლაძე, რატია, ჯანელიძე	*სათადარიგონი:* ლომიძე, ჩივაძე, დ. ფოფხაძე, ხარაძე
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე	მწვრთნელი: ნოდარ აკობია

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ხ. გაგნიძე (გორი); გ. ასკაროღლი (ქარელი)

ინსპექტორი: ე. სილაგავა

ᲓᲘᲔᲢᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲛᲡ ᲞᲚᲣᲡ ᲡᲐᲛᲘ, ᲡᲐᲛᲘ ᲥᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲡ „სპარტაკის“ დღე არ იყო; გუნდი სწრაფმა გოლმა გატეხა და თამაში ამიტომ ვეღარ ააწყო; პირველი სამი გოლის ფაქტორმა იმოქმედა — ჩვენი მოგონილი არაა, გულშემატკივრები ისროდნენ ასეთ ირონიულ ფრაზებს და, მიდი და, დაუშალე, მე შენ გეტყვი, ირონიის საბაბი არ ჰქონდათ... სხვა საქმეა, რომ გაჭირვებულს წიხლი არ უნდა დააჭირო.

ბევრჯერ უთქვამთ, საქართველოს ჩემპიონატში რომ ფეხბურთელი ვერ ირბენს, იმის საქმე წასულია. კი ბატონო, ასეა, მაგრამ რატომ უნდა მოსთხოვო სირბილი, მაგალითად, დავით სირაძეს, როცა სიარულითაც იგებს თამაშს — ეს ხომ ადამიანური ინსტინქტია, თუ მეტოქე დგას, შენ ზედმეტს არ მოინდომებ. უბრალოდ, ცუდია, ფეხბურთელი სეირნობას რომ ეჩვევა, ეგ არის და ეგ...

„ლოკომოტივმა“ უიოლესი მოგება მიითვალა. უკვე მე-3 წუთზე ირაკლი სირბილაძემ თავით გაუტანა „სპარტაკის“ მეკარე ალექსანდრე ღაძაძეს, მერე კი მიჰყვა და მიჰყვა გოლები. ტაიმის შუაწელს სირაძემ მიხეილ მახვილაძის შორეულ ჩაწოდებულს ეფექტური და ლამაზი თავური უთავაზა, შესვენების წინ კი სპარტაკელმა თ. ონიანიკე დემეტრაძემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი...

მეორე ტაიმში მასპინძლები მთლად დემორალიზებულნი იყვნენ და „ლოკომოტივიც“ საპირველტაიმო „ჩვენებას“ მიაწვა — კიდევ სამი გოლი, რომელთაგან ლაშა ქებაძის თავური იყო გამორჩეული: უზბეკი ისლომ ინომოვის ჩაწოდებული ბურთი ქებაძემ ლამაზი ვარდნით შეაფრინა კარში.

რკინიგზელებმა პირველი წრე მესამე ადგილზე დაამთავრეს, „სპარტაკი კი „თბილისთან“ ერთად თანაგუნდაობს...

ᲕᲘᲢ ᲮᲝᲠᲮᲘᲐ	15	11	3	1	33:10	36
ᲡᲘᲝᲜᲘ	15	11	2	2	28:12	35
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ	15	10	3	2	26:6	33
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	15	10	2	3	25:7	32
ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ	15	10	0	5	29:15	30
ᲐᲛᲔᲠᲘ	15	9	2	4	15:9	29
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ	15	8	3	4	18:11	27
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ	15	6	4	5	13:12	22
ᲧᲝᲚᲮᲔᲗᲘ	15	7	1	7	16:17	22
ᲓᲘᲚᲐ	15	5	1	9	21:24	16
ᲧᲐᲮᲔᲗᲘ	15	5	1	9	14:25	16
ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ	15	3	4	8	10:17	13
ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ	15	3	3	9	10:26	12
ᲡᲝᲮᲣᲛᲘ	15	3	1	11	14:36	10
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	15	1	2	12	9:29	5
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ	15	1	2	12	3:28	5

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

დავით სირაძემ და მისმა თანაგუნდელებმა „სპარტაკს“ გოლები არ დააკლეს

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

ᲕᲐᲡᲘᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲠᲘᲕᲑᲐᲡᲘᲐ

ევროპაში მობურთალ ქართველ ფეხბურთელთა რაოდენობა შემოდგომის ბოლომდე დარჩენილი დღეებივით იკლებს და ჩვენც მცირე მიმოხილვით შემოვიფარგლებით...

ვასილ გიგიაძე უკრაინელმა ჟურნალისტებმა გააბრწყინეს

ᲐᲛ ᲣᲫᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲘᲒᲘᲐᲫᲔ ᲓᲐᲒᲕᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝᲗ. უკრაინული „კრივბასის“ თავდამსხმელს ხარკოვის „მეტალისტის“ მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს და გაზეთებმაც ნარინაარი ეპითეტები უძღვნეს ჩვენებურს — მაგალითად, ასეთი — Блистательный Гигиадзе.

ვასომ ერთი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასი გააკეთა, „კრივბასმა“ კი 2:1 მოიგო და მეცხრე ადგილზე აინაცვლა სატურნირო ცხრილში.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘᲕᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲕᲐ. ტრავმებისგან გატანჯული *ირაკლი მოდებაძე* ამ სეზონში ოდენ მესამედ გავიდა მოედანზე და უკვე მეორე გოლი გაიტანა — ზაპოროჟიელებმაც სწორედ მოდებაძის გოლით სძლიეს 1:0 „ვოლინს“ და გასავარდნთა ზონა დატოვეს.

ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐᲨᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲨᲐᲚᲙᲔᲛ“ ᲘᲛᲧᲝᲩᲐᲚᲐ, „ვერდერს“ 2:1 ავჯობა და ამაში ჩვენებურმაც დაიდო წილი — „კობიმ“ საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში.

ᲐᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲣᲜᲯᲘᲠᲘᲡ ᲒᲝᲚᲛᲐ ᲙᲘ „ᲨᲢᲣᲠᲛᲡ“ ᲝᲓᲔᲜ ᲥᲣᲚᲐ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ — გრაცელები „ადმირას“ შინ 1:1 დაუზავდნენ და მეშვიდე ადგილზე დარჩნენ. „მუმუსთვის“ ეს მეექვსე საამსეზონო გოლია...

ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ A								
კახა კალაძე	მილანი	შ	ლეჩე 2:1	0	სათადარიგო	5	0	2
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	ვერდერი 2:1	90	საგოლე პასი	14	0	4
ლევან ცქიტიშვილი	ვოლფსბურგი	შ	არმინია 0:0	90		11	0	9
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲗᲐ								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ზიგენი — *გადადო*			13	1	5
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	ზიგენი — *გადადო*		ტრავმირებულია	0	0	5
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲚᲘᲗᲐ								
ხვიჩა შუბითიძე	ზტ. პაული	ს	ჰამბურგი (მ) 4:0	25	შეცვლაზე ითამაშა	15	1	3
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲚᲘᲗᲐ								
მიხეილ საჯაია	ბაიროითი	შ	დარმშტადტი 1:0	89	გააფრთხილეს, შეცვალეს	14	9	12
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘᲗᲐ								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	ს	არსენალი 0:3	0	სათადარიგო	9	0	13
ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ᲔᲠᲔᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	როდა 2:0	65	შეცვალეს	13	12	3
გიგა გახოკიძე	ტვენტე	შ	სპარტა — *გადადო*			5	0	13
ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ᲛᲐᲥᲡᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲗᲐ								
დავით მუჯირი	შტურმი	შ	ადმირა 1:1	78	1 გოლი, გააფრთ. შეცვალეს	17	6	7
ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ								
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	ს	ვოლინი 1:0	71	1 გოლი, შეცვალეს	3	2	13
არჩილ ბაჯელიძე	მ. ზაპოროჟიე	ს	ვოლინი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	13
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	ს	კრივბასი 1:2	0		15	6	7
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	ს	ჩერნომორეცი 2:2	73	შეცვალეს	16	1	12
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	შ	სტალი 2:2	86	შეცვალეს	9	0	3
ვასილ გიგიაძე	კრივბასი	შ	მეტალისტი 2:1	66	1 გოლი, საგ. პასი, შეცვალეს	15	5	9
ირაკლი ქორთუა	დინამო	შ	არსენალი 3:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ								
ლევან მაკრაძე	ქსანთი	ს	პანათინაიკოსი 1:2	0		9	0	4
ამირან მუჯირი	კალითეა	ს	ოფი 0:0	0		7	0	15

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ზიდანი ბალაკს ჩაეხუტა

მიხაელ ბალაკს ზინედინ ზიდანმა ხელები გაუშალა. მოგეხსენებათ, გერმანელ ნახევარმცველს „ბაიერნთან“ საკონტრაქტო პრობლემები აქვს და, სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს. ბალაკის მუქთად გადაბირების მსურველთა შორისაა მადრიდის „რეალი“, რომელსაც ნახევარდაცვაში ასეთი კაცი ნაღდად სჭირდება.

გერმანელი „ბაიერნს“ ამ შემოდგომაზე დამლობასა ეთამაშებოდა. ხან ამბობდა, ახალ კონტრაქტს გავაფორმებო, ხანაც ხელის მოწერას უარობდა. ჯერჯერობით კვლავ უარზეა.

ზინედინ ზიდანი „რეალში“ ბალაკის გადასვლას მიესალმება: „მიხაელ ბალაკი სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც გუნდს ნამდვილად გააძლიერებს. ცხადია, ჩვენ ერთად თამაში გაგვიჭირდება და მე ჩემი ადგილის იოლად დათმობას არ ვაპირებ, მაგრამ ის თუ „რეალში“ გადმოვა, ხელგაშლილები დავხვდებით. ბალაკი მებრძოლია და ამ სეზონში საუცხოო ფორმაშია“.

ვაჟა ხუციშვილი



ზინედინ ზიდანი და მიხაელ ბალაკი „რეალში“ ერთად ვერ ითამაშებენ

კონფლიქტი? რა სისულელეა

ტრეზეგე და დელ პიერო მეგობრები არიან

დავიდ ტრეზეგეს და ალესანდრო დელ პიეროს ერთმანეთში გასაყოფი არაფერი აქვთ

იტალიური პრესა გვამცნობს, „იუვენტუსმა“ ვილი სანიოლის დამატებაზე ხელი საბოლოოდ ჩაიქნია და ახლა მის თანამემამულე უილიამ გალასზე გადაერთოო. 28 წლის ფეხბურთელი, სანიოლის დარად, მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება, თუ „ჩელსი“ დროულად არ გაუფორმებს ახალ კონტრაქტს.

თავად გალასმა ცოტა ხნის წინ თქვა: „უკვე აღვნიშნე, რომ არ ვიცი, დავრჩები თუ არა „ჩელსიში“ მომავალ სეზონშიც. გადაწყვეტილების მისაღებად ნახევარი წელი მაქვს, თანაც მხოლოდ ჩემზეც არ არის დამოკიდებული. ახლა 28 წლის ვარ და ეგებ დროა, კარიერა სადმე სხვაგან გავაგრძელო და ახალი თავგადასავალი ვეძიო“.

ამასობაში, როგორც ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები წერენ, „იუვენტუსის“ ფორვარდების — დავიდ ტრეზეგესა და ალესანდრო დელ პიეროს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

ჭორები მას მერე გამძაფრდა, რაც „ბრიუგესთან“ ჩემპიონთა ლიგაზე შეხვედრისას ტელეკამერებმა რამდენიმე კადრი დაიჭირეს, სადაც ეს ორი ფეხბურთელი ერთმანეთს გაბრაზებული უყურებს. ხოლო მატჩის შემდეგ, რომელშიც ერთადერთი ანუ გამარჯვების გოლი დელ პიერომ შეაგდო, ტრეზეგემ თქვა — უკმაყოფილო ვარ, კარგად ვერ ვითამაშეთო.

ტურინელთა ფრანგი ფორვარდი დელ პიეროსთან კონფლიქტს უარყოფს: „ჩემი სიტყვები არასწორად გაიგეს და ტრაგედია შექმნეს. ჩვენ ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ და მეგობრები ვართ. ალექსს უკვე ექვსი წელია, ვიცნობ. ამბობენ, თითქოს მასთან თამაში არ მინდა და იბრაჰიმოვიჩს ვამჯობინებ. ესეც ტყუილია, პირიქით, მინდა, დელ პიეროს ბონიპერტის რეკორდის გაუმჯობესებაში დავეხმარო. მისი კარგად მესმის, მეც ასეთი ემოციური ვიყავი, როდესაც პლატინის რეკორდს მივუახლოვდი“.

კოკი კანდელაკი

ჯორჯს ტაში მიჰყვება

ჯორჯ ბესტს შაბათს, ბელფასტში დაკრძალავენ, მანამდე კი მის ცხედარს პარლამენტის შენობაში დაასვენებენ. აქედანვე ამბობენ, რომ ეს იქნება ყველაზე ხალხმრავალი დაკრძალვა, ჩრდილოეთ ირლანდიაში რომ გამართულა.

უკვე განსაზღვრულია მარშრუტი, ბესტის მამისეული სახლიდან, აღმოსავლეთ ბელფასტიდან სტორმორნტისკენ, სადაც პარლამენტის შენობაა. ასევე, სტორმორნტიდან როუსლოუნის სასაფლაოსკენ, სადაც ჯორჯის დედაა დაკრძალული.

განსაზღვრულია ქელეხის ადგილიც — „ბელფასტ ჰოტელი“.

შაბათს მთელი ჩრდილოეთ ირლანდიის ეკლესიაში ჯორჯის სულისთვის ილოცებენ.

„მანჩესტერის“ ფანები კი პატივს მიაგებენ თავიანთ ვარსკვლავს. შაბათს, „აპტონ პარკზე“, „ვესტ ჰემ“ — „მანჩესტერს“ მატჩის წინ დუმილის წუთი ოვაციის წუთში გადაიზარდა. სერ ბობი ჩარლტონმა მადლობა მოუხადა მაყურებელს ასეთი პატივისცემისთვის, ილაპარაკა ტრევორ ბრუკინგაც. „ოლდ ტრეფორდის“ გალავანთან კი ათასობით თაიგული და სანთელია.

„გუდისონ პარკზეც“ ტაში იყო. ტაშს უკრავდნენ „ფულემისა“ და „ბოლტონის“ ფანებიც. ტაში იყო „მიდლსბროს“ „რივერსაიდზეც“.

სწორედ ისე გამოდის, როგორც თავად ბესტი ამბობდა, ჩემი ლოთობა არავის ემახსოვრება, ფეხბურთით დამიმახსოვრებინო.

სალვატორე კიბოს არ დანებდა

მილანის „ინტერმა“ ეს-ესაა ევროთასებზე სტადიონის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და ახლა ეგებ სერია A-ში მოუწიოს ცარიელი ტრიბუნების წინ რამდენიმე შეხვედრის ჩატარება. ამას ფიფა და იტალიის ფეხბურთის ფედერაცია გადაწყვეტს.

საქმე კი ეხება გასულ უქმეებზე მომხდარ ინციდენტს, როდესაც „ნეროაძურის“ ქომაგებმა კიდევ ერთხელ „ისახელეს“ თავი. მათ „მესინას“ შავკანიან ლეგიონერ მარკო ანდრე ზორო კპოლოს მიაყენეს შეურაცხყოფა და კოტდივუარელი მცველი მოთმინებიდან გამოიყვანეს. მან ბურთი ხელში აიღო და მინდვრის დატოვებასაც აპირებდა, მაგრამ მხარში ინტერელები — ადრიანო და ობაფემი მარტინსი დაუდგნენ, დაამშვიდეს, უკან დააბრუნეს და ფანატების დაშოშმინებაც სცადეს. საერთოდ, ბოლო დროს რასისტული გამოხტომებით ყველაზე მეტად „შავ-ლურჯების“ ტიფოზები გამოირჩევიან.

„ასეთი რაღაცეები თავს ადრეც გადამხდენია, მაგრამ ვერ ავიტან, როდესაც შეურაცხყოფას ჩემ მოედანზევე მაყენებენ. ჩვენ ცხოველები არ ვართ, ადამიანები ვართ და სპორტი ძალიან გვიყვარს. თავი მხოლოდ მარტინსისა და ადრიანოს ხათრით შევიკავე, რომლებმაც მთხოვეს, იმ ბრბოსთვის სიამოვნება არ მიმენიჭებინა“ — აღნიშნა ზორო კპოლომ.

„ინტერის“ პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი: „მინდა, კლუბის სახელით დიდი ბოდიში მოვუხადო ზორო კპოლოს. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ფეხბურთში ხშირია, მაგრამ „ინტერი“ ყოველთვის ცდილობს რასიზმთან ბრძოლას“.

„მესინას“ თემა გუნდის კაპიტან სალვატორე სულოთი გავაგრძელოთ. 34 წლის ფეხბურთელმა კლუბთან ვარჯიში განაახლა და მალე ალბათ ითამაშებს კიდეც. შეგახსენებთ, რომ მას გასულ თებერვალს სიმსივნე აღმოაჩნდა და, საბედნიეროდ, მკურნალობამ დადებითი შედეგი გამოიღო.

სალვატორე სულო: „ჩემმა შემთხვევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ კიბოს არასოდეს არ უნდა დანებდე და ბოლო წუთამდე ებრძოლო. თუ იმედს არ დაკარგავ, გამარჯვების დიდი შანსიც გექნება“.

კოკი კანდელაკი

იტალია

სერია A. XIII ტური

რომა 1:1 ფიორენტინა

1:0 ტომაზი (2), 1:1 ტონი (67პ)

რომა: დონი, პანუჩი, კუფური, მექსეში, კუფრე, ტადეი, დაკური (აკილანი 59), დე როსი, ტომაზი, ტოტი (მონტელა 90), ა. კასანო (ბოვო 71)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დი ლორეტო, დანიელი (გამბერინი 41), პასკუალი, ბროკი (პაზიენცა 74), დონადელი, ფიორე, მონტოლივო (პაცინი 56), იორგენსენი, ტონი

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: კუფრე, დაკური, გამბერინი, დე როსი

გაძევება: მექსეში (66)

მსაჯი: აიროლდი

60 000 მაყურებელი

AFP რომიდან

ლუკა ტონიმ სეზონში მე-16 გოლი შეაგდო

დაბრუნებულთა საღამო ოლიმპიკოზე

დამიანო ტომაზის მუხლის ტრავმის გამო 18 თვე გაუცდა და მინდორს ნელ-ნელა უბრუნდება. „ფიორენტინასთან" მატჩში იგი წლეულს პირველად იყო სასტარტო შემადგენლობაში და 70-ე წამზე გოლიც შეაგდო — ანტონიო კასანომ მშვენივრად ჩაწოდა, ტომაზის კი ახლოდან ბურთის კარში გადაგზავნა არ გასჭირვებია.

მიუხედავად ასეთი დასაწყისისა, „ფიორენტინა" არ დაბნეულა და მყისვე იერიშებზე გადავიდა. „იები" მთელი შეხვედრის მანძილზე უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ ერთზე მეტი გოლი ვერ შეაგდეს. პერიოდულად „რომაც" მწარედ იკბინებოდა. დედაქალაქელთა რიგებში საუკეთესო კასანო გახლდათ, რომელმაც სერია A-ში 1 ოქტომბრის მერე პირველი მატჩი ჩაატარა.

66-ე წუთზე რომაელმა ფილიპ მექსეშმა ჯამპაოლო პაცინის წაქცევისთვის წითელი ბარათი და პენალტი „აიკიდა". თერთმეტრიანი კი ზუსტად ლუკა ტონიმ შეასრულა და სეზონში მე-16 გოლი მიითვალა.

აქედან ოთხ წუთში მასპინძელთა თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ დაცვა გააძლიერა და ანტონიო კასანო ჩეზარე ბოვოთი შეცვალა. „ხულიგანი" „სტადიო ოლიმპიკოზე" შეკრებილმა პუბლიკამ მხურვალე აპლოდისმენტებით გააცილა.

ბოლო წუთებში „ფიორენტინა" ეცადა, რომაელთათვის სამი ქულა გამოეგლიჯა, მაგრამ ამაოდ. მასპინძლები თავს საკმაოდ რიგიანად იცავდნენ და პერიოდულად კონტრშეტევებზეც გადადიოდნენ.

„ორივე გუნდმა კარგი თამაში აჩვენა და სასიამოვნო მატჩი იყო. შედეგით და გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, რამდენიმე შეცდომას თუ არ ჩავთვლით. მინდა, განსაკუთრებით ანტონიო კასანო და დამიანო ტომაზი გამოვარჩიო. კარგა ხანია, მათ ასეთი დატვირთვით არ უთამაშიათ და დაამტკიცეს, რომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები არიან" — განაცხადა სპალეტიმ.

„ფიორენტინას" მთავარი მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი: „მძიმე მატჩი გახლდათ და ბევრი ძალა დავხარჯეთ. ვფიქრობ, მოედნის ცენტრში მთლად კარგად ვერ გავისარჯეთ, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ".

კოტე კანდელაკი

კოტი კანდელაკი

იუვენტუსი	13	12	0	1	29:7	36
მილანი	13	10	1	2	29:13	31
ფიორენტინა	13	9	2	2	28:14	29
ინტერი	13	8	2	3	24:11	26
კიევი	13	5	6	2	16:12	21
სამპდორია	13	6	2	5	23:19	20
უდინეზე	13	6	2	5	15:17	20
რომა	13	5	4	4	19:15	19
ლაციო	13	5	4	4	16:17	19
ლივორნო	13	5	4	4	11:15	19
პალერმო	13	4	6	3	20:19	18
ემპოლი	13	5	2	6	17:20	17
სიენა	13	4	3	6	18:23	15
ასკოლი	13	2	7	4	13:16	13
რეჯინა	13	4	1	8	13:19	13
პარმა	13	3	3	7	13:21	12
მესინა	13	1	5	7	11:20	8
კალიარი	13	1	5	7	10:20	8
ტრევიზო	13	1	4	8	8:21	7
ლეჩე	13	2	1	10	9:23	7

ბომბარდირები

ტონი (ფიორენტინა)	16
ტრეზეგე (იუვენტუსი)	10
ტავანო (ემპოლი)	9
კიეზა (სიენა)	8
ბონაცოლი (სამპდორია)	8
ჯილარდინო (მილანი)	8

ინტერი: მაკლიშის შანსი



წყალშემდგარმა ალექს მაკლიშმა გუშინ თქვა, რომ უხეირო შედეგების მიუხედავად, „რეინჯერსიდან" წასვლას არ აპირებს. „ჩაფრები" ახლა შოტლანდიური პრემიერლიგის ცხრილში მეოთხე ადგილზე არიან და „სელტიკს" უკვე 15 ქულით ჩამორჩებიან.

გასულ კვირას „ჰიბერნიანთან" მარცხის შემდეგ მაკლიშის გადადგომას ვარაუდობდნენ, მაგრამ მწვრთნელი გაჯიუტდა: „კლუბის თავმჯდომარე დევიდ მიურეიმ განაცხადა, რომ დეკემბრის ბოლომდე ხელშეუხებელი ვარ და მას მერე არაფერი შეცვლილა. გაქცევას არ ვაპირებ. არ ვარ ის კაცი, რომელიც სირთულეებს გაურბის".

ალექს მაკლიშს ერთი შანსი დარჩა — ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში შინ მილანის „ინტერს" უნდა მოუგოს და მერვედფინალში გავიდეს. თუ ასე მოხდა, „რეინჯერსი" პირველი შოტლანდიური გუნდი გახდება, ჯგუფური ეტაპის დაძლევა რომ შეძლო. „ინტერმა" თავი უკვე დაიგულა მერვედფინალში და გლაზგოში, ალბათ, უძლიერეს შემადგენლობას არ ჩაიყვანს.

ვაჟა ხუციშვილი

ესპანეთი

პრიმერა დივიზიონი XIII ტური

ბარსელონა 4:1 რასინგი

1:0 ეტოო (30), 2:0 მესი (52), 3:0 რონალდინიო (56პ), 4:0 სილვინიო (66), 4:1 კასკერო (71პ)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი (გაბრი 81), პუიოლი, მარკესი, სილვინიო, ედმილსონი (ინიესტა 70), ხავი, დეკო, მესი (ჟიული 67), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

რასინგი: აუატე, პინილიოსი, მორატიონი, ნერუ, აიოზე (რეგრაგი 63), ანტონიო, ვიტოლო (კასკერო 60), ს. დალმა (აგანსო 60), სერანო, ფელიპე მელო, ხუანხო

მწვრთნელი: მანოლო პრესიადო

გაფრთხილება: მორატიონი, ედმილსონი, აიოზე

გაძევება: აგანსო (75)

მსაჯი: რამირეს დომინგესი

57 200 მაყურებელი

მიმოხილვაში, რომელიც „ბარსელონას" ოფიციალურმა საიტმა გამოაქვეყნა, ვკითხულობთ: „რონალდინიომ და მისმა მეგობრებმა კიდევ ერთი ჯადოსნური საღამო გვაჩუქეს. უსწრაფესი იერიშები, სახიფათო პასები და ამასთან ერთად საიმედო დაცვა — ეს ყველაფერი გამარჯვების საწინდარი იყო. ფრანკ რაიკარდის თითოეულმა ფეხბურთელმა კიდევ ერთი სამაგალითო თამაში უჩვენა მსოფლიოს".

თამაში სწრაფი პენალტით დაიწყო: ხოსე მორატიონმა საჯარიმოში დასცა რაფაელ მარკესი, დარტყმა კი, ცხადია რონალდინიომ ითავა. დაარტყა ისე, როგორც ურტყამს-ხოლმე და სწორედ ეს გამოდგა საბედისწერო — მეკარეს დარტყმის მიმართულება წინდაწინვე გათვლილი ჰქონდა.

თუმცა „ბარსელონას" თამაშს წახდენილი პენალტი არ დატყობია და მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე სამუელ ეტოომ ანგარიში გახსნა. თანაც კამერუნელმა საგოლე იერიში თავადვე წამოიწყო თავისივე ნახევრიდან, როცა რასინგელ ვიტოლოს ბურთი აწაპნა.

რაიკარდის სამაგალითო ბიჭები

AFP ბარსელონიდან

„რასინგის" განადგურება სამუელ ეტოომ (მარჯვნივ) დაიწყო

მერე მესიმ და რონალდინიომ გაიტანეს, რონალდინიომ მეორედაც ითავა პენალტის დარტყმა და ამ ჯერზე აღარ გაუფუჭებია. პენალტი კი მისივე წაქცევისთვის დაინიშნა.

„ბარსას" მეოთხე სილვინიომ შეაგდო დეკოს პასით, სულ ბოლოს კი „რასინგმა" ერთი ბურთი მაინც გაქვითა, ოღონდ ამას პრესტიჟის გოლი ნაღდად არ ეთქმოდა.

კოტე კეკელია

ბომბარდირები

ეტოო (ბარსელონა)	12
რონალდინიო (ბარსელონა)	9
ვილია (ვალენსია)	8
რონალდო (რეალი)	7

ბარსელონა	13	8	4	1	34:12	28
ოსასუნა	13	9	1	3	19:13	28
ვილიარეალი	13	6	5	2	20:12	23
სევილია	13	6	5	2	13:6	23
სელტა	13	7	2	4	16:14	23
რეალი	13	7	1	5	24:16	22
ვალენსია	13	6	4	3	18:15	22
ხეტაფე	13	6	3	4	20:18	21
დეპორტივო	13	5	5	3	17:14	20
სოსიედადი	13	5	2	6	19:26	17
ატლეტიკო	13	4	4	5	13:13	16
მალაგა	13	4	3	6	20:18	15
კადისი	13	3	5	5	9:13	14
ესპანიოლი	13	3	4	6	10:15	13
მალიორკა	13	3	3	7	11:22	12
სარაგოსა	13	1	8	4	12:17	11
ალავესი	13	2	5	6	13:19	11
რასინგი	13	2	5	6	7:15	11
ბეტისი	13	2	5	6	9:20	11
ბილბაო	13	2	4	7	12:18	10

პორტუგალია

სუპერლიგა. XII ტური

ბენფიკა 0:0 ბელენენსეში

ნასიონალი	12	8	3	1	15:4	27
ბრაგა	12	8	2	2	13:5	26
პორტუ	11	7	3	1	18:7	24
სეტუბალი	12	7	2	3	10:3	23
სპორტინგი	12	7	2	3	17:14	23
ბენფიკა	12	5	4	3	19:12	19
ბოავიშტა	12	4	7	1	18:11	19
ფერეირა	12	5	2	5	14:15	17
მარიტიმუ	12	3	6	3	14:14	15
რიუ ავე	12	4	3	5	15:17	15
აკადემიკა	12	4	2	6	11:16	14
ლეირია	12	3	3	6	12:16	12
ბელენენსეში	12	3	2	7	13:16	11
ჟილ ვისენტე	11	3	2	6	9:15	11
ნავალი	12	3	2	7	13:20	11
ამადორა	12	2	4	6	8:13	10
გიმარაეში	12	3	1	8	7:17	10
პენაფიელი	12	1	4	7	9:20	7

მარსელმა გაასამა

AFP მარსელიდან

მარსელელებმა სტუმრების საჯარიმოში ინავარდეს

საფრანგეთი

I დივიზიონი. XVI ტური

მარსელი 2:1 მონაკო

0:1 მერიემი (20), 1:1 ორუმა (64), 2:1 ლამუში (76)

„მარსელმა“ შვიდ დღეში მიჯრით მესამე საშინაო შეხვედრა მოიგო — ერთი კვირის წინ ჩემპიონატში „ნანტს“ სძლია, შემდეგ უეფას თასზე ჰოლანდიურ „ჰერენვენს“ ავჯობა, ამჯერად კი „მონაკო“ დაამარცხა.

„მონაკომ“ პირველ ტაიმში მასპინძლებზე უკეთ ითამაშა და ანგარიშიც გახსნა: პატრის ევრამ მარცხენა ფლანგიდან ემანუელ ადებაიორს ჩააწოდა, რომელმაც კამელ მერიემს დაუგორა ბურთი, მან კი ფაბიენ ბარტეზს აუღელვებლად გაუტანა. დამხვდურებს შესვენებამდე გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ ტაი ტაივუს დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

მეორე ნახევარში „მარსელმა“ იძალა. საბრი ლამუშის წამოწყებული კომბინაციის შედეგად სტუმართა მცველისგან ბურთი უილსონ ორუმას ფეხთან აღმოჩნდა და მანაც საგოლედ დაჰკრა. გალაღებულმა მარსელელებმა ჯიგრიანად შეუტიეს, რასაც მეორე გოლი მოჰყვა — მამადუ ნიანგმა დაარტყა, მეკარე გიიომ ვარმუზმა კი უშნოდ მოიგერია და საბრი ლამუშიმაც შეცდომა არ აპატია.

„პირველ ტაიმშიც არ გვითამაშია ურიგოდ, მაგრამ შესვენების მერე მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ. ჩემმა გუნდმა დისციპლინისა და მონდომების ხარჯზე მოიგო — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა ჟან ფერნანდესმა — ძალიან მნიშვნელოვანია სამი ქულა, მეორე წრისთვის ცხრილში შედარებით მაღლა ვიქნებით“.

„მონაკოს“ თავკაცი ფრანჩესკო გვიდოლინი: „დაწინაურების შემდეგ თამაშს ვაკონტროლებდით და მეორე გოლის გატანაც გვმართებდა. „მარსელი“ კარგი გუნდია, თუმც ფრე ალბათ უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა“.

ვაჟა ხუციშვილი

ლიონი	16	12	4	0	27:10	40
ოსერი	16	9	2	5	22:19	29
ბორდო	16	7	7	2	16:10	28
პსჟ	16	8	3	5	20:15	27
ლილი	16	7	5	4	23:13	26
ლანსი	16	5	10	1	23:13	25
სენტ ეტიენი	16	6	7	3	16:10	25
მონაკო	16	7	3	6	16:13	24
მარსელი	16	7	3	6	18:20	24
რენი	16	7	2	7	20:27	23
ლე მანი	16	6	4	6	16:12	22
ნანტი	16	6	3	7	18:16	21
ნანსი	16	6	2	8	17:13	20
ნიცა	16	4	7	5	12:15	19
სოშო	16	5	4	7	10:15	19
ტულუზი	16	5	3	8	14:20	18
ტრუა	16	3	6	7	13:20	15
აიაჩო	16	2	6	8	9:20	12
მეცი	16	1	6	9	7:24	9
სტრასბური	16	0	7	9	8:20	7

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XIV ტური

ზლინი — სპარტა 3:2; მოსტი — ლიბერეცი 1:2; იაბლონეცი — ტეპლიცე 0:0; სიგმა — იჭლავა 1:2; სლავია — ბლშანი 0:0; პრუიბრამი — სლოვაცკო 1:1; ბოლქლავი — ბრნო 2:1; პლზენი — ბანიკი 0:0

ლიბერეცი	14	9	4	1	25:11	31
ტეპლიცე	14	7	5	2	18:10	26
სლავია	14	6	5	3	25:17	23
სიგმა	14	7	2	5	22:22	23
იაბლონეცი	14	6	3	5	22:18	21
ბოლესლავი	14	6	3	5	23:23	21
პრუიბრამი	14	5	5	4	20:16	20
ბანიკი	14	5	5	4	14:13	20
ზლინი	14	5	4	5	15:15	19
პლზენი	14	4	5	5	15:17	17
იჭლავა	14	4	5	5	12:18	17
სპარტა	14	5	1	8	22:26	16
სლოვაცკო	14	2	7	5	14:18	13
მოსტი	14	4	1	9	14:20	13
ბლშანი	14	2	6	6	13:25	12
ბრნო	14	2	5	7	16:21	11

პოლონეთი

პირველი ლიგა. XV ტური

ლეხი — პოგონი 1:1; პლოცკი — ოდრა 0:0; კორონა — გროცლინი 3:0; ამიკა — ბელხატოვი 3:1; გურნიკი — ლეჩნა 2:0; პოლონია — არკა 0:0; ზაგლებე — კრაკოვია 3:1; ვისლა — ლეგია 0:0

ვისლა	15	8	5	2	26:12	29
ლეგია	15	8	5	2	19:9	29
კრაკოვია	15	7	3	5	18:20	24
კორონა	15	6	5	4	25:19	23
ლეხი	15	6	5	4	24:24	23
ამიკა	15	6	4	5	23:17	22
ზაგლებე	15	6	4	5	26:22	22
პოგონი	15	5	6	4	20:17	21
ოდრა	14	5	5	4	12:12	20
გროცლინი	15	5	4	6	21:23	19
არკა	15	3	8	4	13:13	17
პლოცკი	15	5	2	8	16:27	17
გურნიკი	15	4	4	7	18:22	16
ლეჩნა	15	2	8	5	11:15	14
ბელხატოვი	15	3	5	7	15:22	14
პოლონია	14	2	3	9	8:21	9

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XVII ტური

კრივბასი — მეტალისტი 2:1; მეტალურგი (დ) — ზაკარპატია 1:0; ჩერნომორეცი — სტალი 2:2; დინამო — არსენალი 3:1; ვოლინი — მეტალურგი (ზ) 0:1; დნიპრო — შახტარი 2:2; ხარკოვი — ტავრია 0:0; ვორსკლა — ილიჩევეცი 1:0

დინამო	17	14	3	0	40:9	45
შახტარი	17	13	3	1	37:8	42
მეტალურგი (დ)	17	7	7	3	23:12	28
ჩერნომორეცი	17	8	4	5	23:15	28
ილიჩევეცი	17	7	5	5	17:18	26
ვოლინი	17	8	2	7	24:29	26
მეტალისტი	17	7	3	7	23:26	24
ხარკოვი	17	6	4	7	23:22	22
კრივბასი	17	5	5	7	15:17	20
დნიპრო	17	5	5	7	16:19	20
ვორსკლა	17	5	5	7	16:22	20
სტალი	17	4	7	6	14:24	19
მეტალურგი (ზ)	17	4	4	9	17:27	16
ტავრია	17	4	3	10	12:22	15
არსენალი	17	3	5	9	13:25	14
ზაკარპატია	17	1	5	11	8:26	8

იყიდება

ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი, 1999 წელს გამოშვებული **ISUZU RODEO 2.2** ბენზინის ძრავით, იდეალურ მდგომარეობაში, განბაჟებული. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 55 80 27



ინგლისურ „ლივერპულს“ სერბი მცველის ნემანია ვიდიჩის ფასი, 10 მილიონი დოლარი ეძვირა და მის შეძენას აღარ აპირებს. სამაგიეროდ, მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელით კვლავ დაინტერესებულნი არიან „ასტონ ვილა“ და „ფიორენტინა“.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის მსაჯთა კოლეგიამ გასული ჩემპიონატის საუკეთესო არბიტრები გამოავლინა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ადგილზე ვალენტინ ივანოვი გავიდა და „ოქროს სასტვენიც“ დაიმსახურა. მეორე ალექსანდრ კოლობანოვი, ხოლო მესამე იგორ ეგოროვი გახლავთ.

იტალიური „უდინეზეს“ ნახევარმცველ ჯამპიერო პინცის მუხლზე ოპერაციის გაკეთება მოუხდა და დაახლოებით თვენახევარი ვერ ითამაშებს. 24 წლის ფეხბურთელს ეს ტრავმა დიდი ხანია, აწუხებდა, მაგრამ ქირურგიული ჩარევისგან თავს იკავებდა, სანამ ეს გარდაუვალი არ გახდა.

ინგლისური პრემიერლიგის უფროსობა ბოლო სამ წელიწადში „ჩელსის“ ფინანსური მდგომარეობის შესწავლასა და გამოძიებას აპირებს. ეს ლონდონელთა ყოფილი ფორვარდის, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის ავტობიოგრაფიული წიგნის გამოსვლის მერე გადაწყდა. ჰოლანდიელი ფეხბურთელი წერს, რომ 2003-2004 წლების სეზონში „ჩელსიმ“ ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლისთვის 100 ათასი გირვანქა დაურიგა, ხოლო აღრიცხული მხოლოდ ამის ნახევარია.

ესპანური „ალავესის“ პრეზიდენტმა დმიტრი პიტერმანმა კლუბის წევრებს მისი სპეციალური ნებართვის გარეშე პრესასთან ურთიერთობა აუკრძალა. წარმოშობით უკრაინელი, ხოლო პასპორტით ამერიკელი ბიზნესმენის აზრით, ჟურნალისტებმა, განსაკუთრებთ კი ბასკებმა, მისი გუნდის წინააღმდეგ ბინძური კამპანია წამოიწყეს.

კვიპროსის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩს, აელ-სა და „აპოელს“ შორის (1:1) დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა. თამაშის მერე აელ-ის ქომაგებმა ლიმასოლში არეულობა მოაწყვეს და ბოლოს პოლიცია იძულებული გახდა, გაველურებული ფანატების დასაშოშმინებლად ცრემლსადენი გაზი გამოეყენებინა. ჩხუბისას 16 პოლიციელი და 11 ქომაგი დაშავდა, ხოლო ერთი სამართალდამცავი, 43 წლის მარიოს მალეკოსი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

გერმანული ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა, სლოვაკმა მარეკ მინტალმა ვარჯიში განაახლა. ტერფის ძვლის მოტეხილობის გამო მას ორი თვეა, არ უთამაშია. ექიმების თქმით, „ნიურნბერგის“ თავდამსხმელი მინდორზე გასვლას ზამთრის შესვენების მერე შეძლებს.

ინგლისური „სანდერლენდის“ პრეზიდენტ ბობ მიურეის ჯერჯერობით უცნობმა პირმა ლუდის ბოკალი დაარტყა თავში. მიურეი და კლუბის მწვრთნელი მიკ მაკარტი მეუღლეებთან ერთად ნიუკასლის ერთ-ერთ რესტორანში იმყოფებოდნენ. ინციდენტის შედეგად მიურეიმ და მისმა მეუღლემ მსუბუქი დაზიანება მიიღეს. ბოროტმოქმედი სავარაუდოდ, „ნიუკასლის“ ერთ-ერთი ფანატი გახლდათ. მოგეხსენებათ, ამ ორ კლუბს შორის ძველი მტრობაა.

რუმინული „დინამოს“ ერთ-ერთ ქომაგს, რაზვან ტიუკუს, ერთი წელი ციხეში მოუწევს ყურყუტი. იგი, რამდენიმე თანამემამულესთან ერთად, 4 ნოემბერს, „ლევსკისთან“ თამაშისას ხულიგნობდა. მან ერთ-ერთი პოლიციელი გალახა კიდეც.

ბელგიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელმა თომას ვერმაელენმა „აიაქსთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ ვერმაელენი ამსტერდამელებს 2003 წელს „ბეერსხოტიდან“ შეუერთდა და ერთ-ერთ პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება.

ინგლისური „ევერტონი“ ბრიუსელის „ანდერლეხტის“ შემტევ ნახევარმცველ კრისტიან ვილჰელმსონს სადაცაა შეიძენს. შვედი დაახლოებით 5 მილიონ ევროდ ფასდება და ეგებ უკვე იანვარშივე ვიხილოთ „ენფილდზე“.

ესპანური „ბეტისი“ და იტალიური „ინტერი“ ჰარი კიუელით ყოფილან დაინტერესებულნი. 27 წლის ავსტრალიელს „ლივერპულის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს და ეგებ გუნდის გამოცვლა თავადაც ისურვოს.

ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ რუსი ნახევარმცველი სერგეი სემაკი შესაძლოა, მოსკოვის „დინამოში“ აღმოჩნდეს. მოგეხსენებათ, მისი „მარსელში“ განათხოვრება თითქმის გადაწყვეტილი გახლდათ, მაგრამ ახლა საქმეში „დინამოც“ ჩაერია.

განის ნაკრებისა და „უდინეზეს“ ნახევარმცველმა სულეი ალი მუნტარიმ „პარმასთან“ მატჩში ტვინის შერყევა მიიღო. უდინელი ექიმების თქმით, კლუბის ერთ-ერთ ლიდერს სერიოზული არაფერი სჭირს, მაგრამ შეიძლება დაახლოებით ერთ კვირას მაინც მოუხდეს დასვენება.

იტალიური „მილანის“ ჰოლანდიელი მცველი იაპ სტამი შესაძლოა, ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდეს. მოგეხსენებათ, სტამის გადაბირებით მეორე ჰოლანდიური გრანდი, „პსვ ეინდჰოვენიცაა“ დაინტერესებული. თავად ფეხბურთელს უკვე არაერთხელ აღუნიშნავს, სამშობლო ძლიერ მომენტრა და დაბრუნებასაც არ გამოვრიცხავო.

ახლა რონალდინიოა მთავარი!

გენიალურობის ორად გაყოფილი 23 წამი უწოდა ერთმა შოტლანდიელმა ჟურნალისტმა იმას, რაც რონალდინიომ ორი კვირის წინანდელ „ელ კლასიკოში“ მადრიდულ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გააკეთა. პირველიო, წერს სქოთი, ცამეტ წამიანი იყოო. ის მაშინ მოხდა, თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათი რომ არ იყო გასულიო და შემდეგ მომენტს აღწერს: კაცმა, რომელსაც ოფიციალურად რონალდუ დე ასის მორეირა ჰქვია, ბურთი თავის ნახევარზე მარცხენა კიდესთან მიიღო, მასპინძელთა კარისკენ გაიქცა, გზად სერხიო რამოსი მოატყუა, საჯარიმოში შევიდა, იქ ივან ელგერას მხარი ჩაუდგა და მარჯვენა ფეხით იკერ კასილიასს შემოუბზრიალა ბურთი. ამის შემდეგ შოტლანდიელი მეორეს ამბავს აღწერს, თუმცა ვფიქრობთ, ის კაცი აღარ გვჭირდება, დიდი მადლობა იმ ფრაზისთვის, რომლითაც სტატია დავიწყეთ, მეორე ეპიზოდს კი თავად გავიხსენებთ...

რონალდინიომ ისევ მარცხნივ მიიღო ბურთი, ისევ გაიწია მეტოქის კარისკენ, ისევ სერხიო რამოსს ჩაუქროლა და კასილიასის კარში თავისი მეორე, ხოლო მატჩის მესამე გოლი გაიტანა — „ბარსამ“ „რეალს“ 3:0 მოუგო და ვიმეორებთ, ეს მადრიდში მოხდა.

და კიდევ, აი, რა მოხდა მადრიდში: „სანტიაგო ბერნაბეუს“ მაყურებელმა ბრაზილიელს ოვაცია მოუწყო.

„ასეთი რამ ერთი-ორ მოთამაშეს თუ ხვდომია წილად — ამბობდა რონალდინიო მატჩის შემდეგ — მგონი, კარიერის საუკეთესო პერიოდი მიდგას და მეტიც, კიდევ რაღაც ისეთი ხდება, რომ ყველაფერი კიდევ უფრო დიდებულად გამოდის“.

ხოლო, ვინაიდან და რადგანაც, „ბარსელონაზე“ ისე ვერ ილაპარაკებ, „რეალს“ რომ არ დაუპირისპირო, გზას ნურც ჩვენ გადავუხვევთ. ასე ვთქვათ: მადრიდელთა პრეზიდენტს, ფლორენტინო პერესს, იმთავითვე გალაქტიკოსების გუნდის შექმნა ჰქონდა მიზნად დასახული და საამისოდ „ფრანს ფუტბოლის“ ლაურეატებს ყიდულობდა — ზინედინ ზიდანი (1998), რონალდო (1997 და 2002), ლუიშ ფიგუ (2000) და მაიკლ ოუენი (2001), თუმცა ჩამოთვლილთაგან არც ერთს არ მიუღწევია იმისთვის, რომ ისეთ უპრინციპულეს მატჩში, როგორიც „ელ კლასიკო“ გახლავთ, მეტოქის ქომაგებისგან ოვაცია დაემსახურებინოს. პერესმა 2003 წელს „პარი სენ ჟერმენიდან“ ბრაზილიელის გადაბირებას „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ დეივიდ ბექემის გადაბირება ამჯობინა და მას მერე „რეალს“ არაფერი მოუგია. და, რა მოიგო რონალდინიომ? რა და, გასულ სეზონში ესპანეთის ჩემპიონი შეიქნა, ხოლო წლეულს ისეთი დაქოქილია, სავარაუდოდ, ამ ტიტულს ისევ გამოკრავს ხელს და კაცმა რომ თქვას, მისგან და მისი გუნდისგან არც ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება გაუკვირდება ვინმეს.



დონა მიგელინა რონალდინიოს ხშირად სჯიდა

„იმ წამიდან, როდესაც პატარა ბიჭივით გაბრწყინებულმა ხუან ლაპორტამ შემომხედა და მითხრა, დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ საჭირო კაცს ვყიდულობო, თავი შინ ვიგრძენი“ — იგონებს თავისი და „ბარსას“ პრეზიდენტის პირველ შეხვედრას „კამპ ნოუს“ გმირი.

და მართლაც, ლაპორტა არ შემცდარა. მეტიც, ვფიქრობთ, ის, რომ რონალდინიო დღეს ამდენად ბრწყინვალეა, უპირველეს ყოვლისა მისი და „ბარსას“ მწვრთნელის, ფრანკ რაიკარდის პოლიტიკისა და მუშაობის სტილის დამსახურებაა.

და მოდი, ნურც „პარი სენ ჟერმენის“ და მის თავკაც ლუის ფერნანდესთან ურთიერთობის დრამატულ ეპოქას ჩავუვლით ცივად. საქმეში ჩახედული ხალხი დაგვეთანხმება, რომ რონალდინიო აქა-იქ, „პარი სენ ჟერმენში“ თამაშის დროსაც სჩადიოდა სასწაულებს, ოღონდ...

იყო ასეთი ამბავი: „პარი სენ ჟერმენი“ უეფას თასზე „ბოავიშტას“ რომ ეთამაშებოდა, რონალდინიომ მოედნიდან გასვლა და შემცვლელისთვის ადგილის დათმობა იუარა — არ გავიდა და მორჩა.

მეორე შემთხვევა ასეთი გახლდათ: საფრანგეთის ჩემპიონატის შეხვედრაში „ნანტთან“, ფერნანდესმა იგი შეცვალა, მან კი მოედნის დატოვების შემდეგ, გვირაბში შესვლის წინ მწვრთნელს „ბოზიშვილო“ მიაძახა. ცნობილია, რომ ერთხელ, ფერნანდესმა, რომელიღაც მატჩის წინა ღამეს იგი საწოლში ქალთან გამოიჭირა, ხოლო სხვა დროს, შვებულებაში გაშვებულმა, ვარჯიშებზე დაბრუნება ხუთი დღით დაგვიანა — პლაჟის ფეხბურთით გაერთო.

თუმცა იმასაც ამბობენ, რომ საკუთრივ ფერნანდესს აქვს ძველი ყაიდის მიდგომა ფეხბურთელებთან და სხვადასხვა დროს სწორედ ამან გაუფუჭა ურთიერთობა სტეფან დალმასთან, პეტერ ლუქსენთან და ნიკოლა ანელკასთან.

ასეა თუ ისე, იმ წელიწადს, როდესაც პარიზელებმა ჩემპიონატი მეთერთმეტე ადგილზე ჩაამთავრეს, ფერნანდესმა თქვა: „რონი მსოფლიო კლასის სპორტსმენის ცხოვრებით არ ცხოვრობს. ის იმის გაკეთებას ცდილობს, რაც მოეპრიანება და ამის შედეგად გავედით მეთერთმეტე ადგილზე“.

მაგრამ, როგორც ჩანს ფერნანდესი ერთ პრინციპულ საკითხში ცდებოდა, იგი რონალდინიოს გარემარბად ანუ მისთვის არასასურველ პოზიციაზე ათამაშებდა.

„მე მიყვარს თამაში. ვგიჟდები, როდესაც ბურთი ფეხში მაქვს და მიჯობს გამთამაშებელი ვიყო, ვიდრე გარემარბი, რადგან გამთამაშებელი უფრო ხშირად ფლობს ბურთს“ — ამბობს რონი.

მოვუსმინოთ ბრაზილიელ ედმილსონს, რომელსაც რონალდინიოს წინააღმდეგ საფრანგეთის ჩემპიონატში, „ლიონის“ შემადგენლობაში უთამაშია:

„მე კი მგონია, რომ ის საკუთრივ პარიზს ვერ შეეგუა და პრობლემებიც აქედან მოდიოდა. ისე კი, ცენტრალური მცველი გახლავართ და ვფიქრობ, რომ რონალდინიო არც ცენტრფორვარდია და არც ეგრეთწოდებული ცხრანახევარი ნომერი. ის გამოკვეთილი ათი ნომერია და არასდროსაა ისე საშიში, როგორც ორი ფორვარდის უკნიდან მოთამაშე. ბრაზილიის ნაკრებში მას თავიდანვე სწორი პოზიცია ჰქონდა“.

მაგრამ ისე მოხდა, რომ თავიდან, „ბარსელონაშიც“ იგივე მოხდა — რაიკარდმა რონალდინიო მისთვის ყველაზე სასურველ ამპლუაში არ ათამაშა. პირველად ეს „ბოკა ხუნიორსთან“ ამხანაგურ შეხვედრაში მოხდა — რონალდინიოს კვლავ ფრთაზე გაწევა დაავალეს, მაგრამ „ბარსას“ მწვრთნელი მალე გაერკვა სიტუაციაში და მოთამაშე გამთამაშებლად დაწია. სხვათაშორის, საქმე მაშინვე არ გამოსწორებულა, დრო დასჭირდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ რონიმ ახალ წლამდე ხუთი გოლის შეგდება მაინც მოახერხა. აი, ზამთრის არდადეგების შემდეგ კი „ბარსელონამ“ „იუვენტუსისგან“ ედგარ დავიდსი იქირავა და დაიწყო... კატალონიელებმა 17 წაუგებელი მატჩი ჩაატარეს, რომელთაგან ზედიზედ ცხრა მოიგეს — ერთი „რეალთან“. იმ სეზონში „ბარსა“ მეორეზე გავიდა, ხოლო რონალდინიომ 15 გოლი შეაგდო. მაშინ ბრაზილიელი ასე ამბობდა:

„ჩვენი გუნდი ახალგაზრდებისაა და პროექტიც ახალი აქვს. ხალხმა ერთი რამ უნდა გაიგოს, მე ჯერ ისევ ვსწავლობ. ბრაზილიელი და ბარსელონელი ვარსკვლავების გარემოცვაში ბევრს შევძლებ. მე გავხდები ისეთი, გულშემატკივარს რომ სურს და ჩვენ გავაკეთებთ ისეთ გუნდს, რომელიც მადრიდის „რეალს“ ჩრდილში მოაქცევს“.

და მართლაც, იგი გახდა ისეთი, ხალხს რომ სურდა. ბიჭი, რომელსაც დედა, დონა მიგელინა ხშირად სცემდა, რადგან ძაღლ ბომ-ბომს სახლში ფეხბურთს ეთამაშებოდა და ყველაფერს ლეწავდა. ჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო შემდეგ ევროპის გულიც მოინადირა, ოღონდ ამისთვის „ბარსელონაში“ გადასვლა დასჭირდა.

თავიდან კი ბრაზილიაში, „გრემიოში“ მივიდა, როდესაც შვიდი წლისა იყო. იმ დროს ასე იგონებს:

„ჩემი ძმა უკვე თამაშობდა „გრემიოში“ და მეც ამ კლუბის ფანატიკოსი ვიყავი. იქ მე აკადემია გავიარე და ამას ვერასდროს დავივიწყებ. „გრემიოში“ მეტ დროს ვატარებდი, ვიდრე შინ და მეგობრებიც იქ შევიძინე“.

და კიდევ აი, რა შეიძინა რონალდინიომ იქ, „გრემიოში“, ბავშვობისას:

„რომ მიყურებთ, ვიღიმები და ეს განა მარტო იმას ნიშნავს, რომ მე ვარ ბედნიერი, ეს იმას ნიშნავს, რომ მე გარშემო სრული ბედნიერება ვიპოვო. მე ბედნიერებას ვეძებ“.

ხოლო წერილი იმით დავასრულოთ, რითაც დავიწყეთ — „სანტიაგო ბერნაბეუთი“. იქ, მატჩის შემდეგ „რეალის“ დამმარცხებელ გმირს ჟურნალისტები შემოეხვივნენ. შემდეგ ინტერვიუ, როგორც იქნა დასრულდა და, როდესაც ხალხი მიმოიფანტა, რონალდინიოსთან ზინედინ ზიდანი მივიდა. ფრანგმა რონის თმა დაჰქაჩა და ასე უთხრა: „ახლა, შენ ხარ მთავარი!“

პაპუნა კვედია

ტიტულები

1997 — 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონი და საუკეთესო ფეხბურთელი

1999 — კოპა ამერიკის ჩემპიონი

2002 — მსოფლიოს ჩემპიონი

2003 — კატალონიის თასის მფლობელი

2004 — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ფიფას ვერსიით

2004 — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ჟურნალ „უორლდ სოკერის“ ვერსიით

2005 — ესპანეთის ჩემპიონი

2005 — ესპანეთის სუპერთასის მფლობელი

2005 — ფიფას კონფედერაციათა თასის გამარჯვებული და საუკეთესო ბომბარდირი (6 გოლი)

2005 — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი „ფრანს ფუტბოლის“ ვერსიით

ჯლუბები

1997-2001 — „გრემიო“ (35 მატჩი, 14 გოლი)

2001-2003 — „პარი სენ ჟერმენი“ (53 მატჩი და 17 გოლი)

2003 წლის ზაფხულიდან „ბარსელონაშია“

მისი ნამდვილი სახელია რონალდუ დე ასის მორეირა, თუმც მთელი მსოფლიო რონალდინიო გაუჩოს ეძახის. „რონალდინიო“ ბავშვობაში სახელგანთქმულ სეხნიასთან, რონალდოსთან მსგავსების გამო შეარქვეს — მასსავით კიჭა და ჯადოსნურად მოთამაშე გახლდათ. ხოლო „გაუჩოს“ პორტუ ალეგრეში მცხოვრებ ყველა ბრაზილიელს ეძახიან. ეს შტატი არგენტინის მეზობლადაა და იქაურებს მეტსახელად პატაგონიელი მწყემსებივით უხმობენ-ხოლმე.

სულ პატარას ბურთთან ერთად ჩახუტებულს ეძინა. ახლა მედიასთან ინტერვიუებში ხშირად ამბობს, ვარსკვლავად გახდომაზე ოცნებობდიო. აუხდა კიდეც.

ძმა, რობერტო ასისი 80-იანი წლების „გრემიოსა“ და სხვა ბრაზილიური გუნდების საკმაოდ ძლიერი მოთამაშე იყო. ფეხბურთი ადრევე მიატოვა მუხლის მძიმე ტრავმის გამო.

პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი უკიდურესად ღარიბ ოჯახში დაიბადა. შვიდ წლამდე რონის რესტრინჟაში, პორტუ ალეგრეს ღატაკთა უბანში მოუწია ცხოვრებამ. რესტრინჟაში ყველაზე ხშირად სამბას სიკვდილი ცეკვავსო — გაუჩოების საყვარელი გამონათქვამია.

სტადიონზე პირველად 6 წლისა მოხვდა, მამამ მიიყვანა „გრემიოს“ თამაშზე. რონალდინიოს მამა პროფესიით შემდუღებელი იყო და თავის დროზე ბრაზილიის დაბალ ლიგებშიც უბურთავია.

როცა რობერტომ, რონის ძმამ, დიდი ფული პირველად იშოვა, ოჯახმა უმალ შედარებით უკეთეს უბანში იყიდა სახლი. იქამდე თავს ზემოთ ჭერი არ ჰქონდათ — პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

ახალ ბინაში რონალდინიო ავეჯს „ეთამაშებოდა“ ბურთს და ვიწრო სივრცეში თავისუფლად ნავარდიც იქ აითვისა. მერე ეზოში გადიოდა და ახლა ძაღლს აგიჟებდა ფინტებით. პირველად ჩემი დრიბლინგის „სიმწარე“ ლეკვმა გამოსცადაო — იტყვის შემდეგ ღიმილით.

მამამისს ჟოაო და სილვა მორეირა ერქვა, 1989 წელს აუზში ბანაობისას დაიხრჩო. ბედის ირონიით, ეს აუზი ოჯახს „გრემიომ“, ძმა რობერტოს კლუბმა აჩუქა.

დედა სენიორა მიგელინაა. თავის დროზე ღატაკთა უბნის საშინელებები რომ გამოუცდია. თუმც ხასიათი არ შეცვლია — გამოიცანით, ვისგან ერგო რონალდინიოს მემკვიდრეობით სახელგანთქმული ჯადოსნური ღიმილი...

დას დეიზი ჰქვია და სარეკლამო სფეროში მოღვაწეობს. ძმა რობერტო მოედანზე კარიერის დასრულების შემდეგ მისი აგენტი გახდა — სადაც რონი, იქაც რობერტო. უმცროს ძმას ერთი წუთითაც არ ტოვებს და ყველა მნიშვნელოვანი კონტრაქტიც მისი გაჩარხულია.

17 წლამდე ბიჭი მინი-ფეხბურთს თამაშობდა. მერე სივიწროვეში ფინტაობა მობეზრდა და „გრემიოსთან“ გააფორმა პროფესიული კონტრაქტი.

2001-ში რონალდინიო უკვე ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელია. პირველი სამი თვე იქ ნიგერიელი ჯეი-ჯეი ოკოჩას შემცვლელი იყო.

სიგიჟემდე უყვარს ვიდეოთამაშები. თავადაც აღიარებს, კომპიუტერული ფეხბურთის მანიაკი ვარ და ამ საქმეში ჩემთან ჭიდილი დახელოვნებულ ოსტატებსაც უჭირთო.

მისი მეორე გატაცება მუსიკაა — რიო გაიბას პლაჟზე მეგობრებთან ერთად სამბას ხშირად ცეკვავს. გიტარაზე და დოლზე ცეცხლოვანი რიტმების აჟღერებაც მშვენივრად ეხერხება. „ფეხბურთელი რომ არ გამოვსულიყავი, აუცილებლად მუსიკოსი ვიქნებოდი“ — ამბობს რონალდუ დე ასის მორეირა.

მისი საყვარელი ციფრია 21 — დაიბადა 21 მარტს, მისი სახელი და გვარი ერთად 21 ასოსგან შედგება, ბრაზილიის ნაკრებში 21 რიცხვში მიიწვიეს, ასევე 21-ში გადავიდა პსჟ-ში და საბოლოოდ კატალონიურ „ბარსელონასაც“ 2003 წლის 21 ივლისს შეუერთდა.

მისი კერპები: რომარიო, რონალდო და რივალდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთული სამშაბათი

ინტერნასიონალის მისია შეუსრულებელია

კორინთიანსი — პონტე პრეტა. კარლოს ტევესმა (მარჯვნივ) პენალტი ვერ გაიტანა

ბრაზილია

სერია A. XLI ტური

სანტოსი — ბოტაფოგო 2:1, ინტერნასიონალი — პალმეირასი 2:1, პარანა — კრუზეირო 2:0, სან კაეტანო — კურიტიბა 1:1, ფორტალეზა — სან პაულუ 1:0, ფლამენგო — გოიასი 0:0, ატლ. პარანენსე — პაისანდუ 3:2, ფლუმინენსე — ჟუვენტუდე 1:2, ატლ. მინეირო — ვასკუ და გამა 0:0, კორინთიანსი — პონტე პრეტა 3:1, ბრაზილიენსე — ფიგეირენსე 0:2

კვირას „კორინთიანსმა“ „ესტადიო მორუმბიზე“ „პონტე პრეტას“ 3:1 კი მოუგო, ოღონდ პარალელურ მატჩში მეორეადგილოსანმა „ინტერნასიონალმა“ „პალმეირასი“ 2:1 დაჯაბნა და ბრაზილიის ჩემპიონის ვინაობა კვლავ გაურკვეველი დარჩა.

თუმცა ვთქვათ — „ინტერნასიონალის“ მისია, ალბათ, შეუსრულებელია. ბოლო ტურში მან „კურიტიბას“ დიდი ანგარიშით უნდა სძლიოს და თან „კორინთიანსიც“ „გოიასთან“ უნდა წახდეს. სხვანაირად, გატანილ და გაშვებულ გოლთა თანაფარდობა დღევანდელი ლიდერის მხარეს იქნება.

„ესტადიო მორუმბის“ ჯახი კი დამხვდურთათვის არასასურველად დაიწყო. მე-16 წუთზე, ევერტონის საგოლე დარტყმის შემდეგ ჩემპიონობის მომლოდინე ტორსიდა შოკში ჩავარდა. თუმცა მერე „კორინთიანსის“ მოირეშიეები გონს მოეგნენ და, მართალია, „პონტე პრეტა“ დაცვაში მჭიდროდ იჯდა, გუსტავო ნერიმ ანგარიში გაათანაბრა. მატჩის ბოლოს კი დიეგო კოელიომ და კარლოს ალბერტომ თავიანთი გოლებით სანპაულუურ გრანდს გამარჯვება მოუტანეს: პირველმა 87-ე წუთზე იხეირა, მეორემ კი 90-ეზე...

სუსტად გამოიყურებოდა „კორინთიანსის“ ვარსკვლავი, არგენტინელი კარლოს ტევესი. კარლიტომ (რომელიც, მავანთა თქმით, ბრაზილიაში თვით პელეზე პოპულარულია) ჯოჯოხეთის მაშხალასავით შემოჩენილ მეურვე ანჟელოს ვერაფერი მოუხერხა და მატჩი ჩააგდო. მან პენალტიც გააფუჭა, სადღაც ჯანდაბაში გააგზავნა ბურთი. „ეს ჩემ კარიერაში ყველაზე ცუდად შესრულებული პენალტი იყო“ — მოიბოდიშა ტევესმა ნამატჩევს.

ახლა ბოლო ტურის ჯახი რჩება „გოიასთან“. თუ ტევესის გუნდმა მოიგო, ბრაზილიის ჩემპიონობას „კორინთიანსი“ მეოთხედ მოიგებს.

ლაღი გამარჯვება „ბეირა რიოს“ სტადიონზე არც „ინტერნასიონალს“ ხვდა წილად. „ფერადები“ 24-ე წუთზე ჟორჟე ვაგნერის პენალტით დაწინაურდნენ, მაგრამ შვიდ წუთში ჟუნინიო პაულისტამ თავისი გოლი შეაგდო და გაათანაბრა. „ინტერი“ ბევრს ცდილობდა, თუმც მატჩის მიწურულამდე მოწინააღმდეგის კარის აღება ვერ შეძლო. 87-ე წუთზე კი მარკუშის ჭკვიანური პასით კოლუმბიელმა რენტერიამ, როგორც იქნა, გჯიტანა და შეხვედრაც, კორინთიანსელთა სამწუხაროდ, ასეც მორჩა — 2:1.

სხვა გადაწყვეტ ჯახში „ატლეტიკო მინეიროს“ „ვასკუ და გამას“ უგოლო ფრე შესთავაზა და საკუთარი ბედიც გადაწყვიტა — საამსეზონო სერია A-ში დაჩაგრული „ათლეტები“ გაისად ქვედა დივიზიონში ითამაშებენ. ისე, „ვასკუს“ მოგებაც შეეძლო, ოღონდ ლეგენდარულმა რომარიომ პენალტი ვერ გამოიყენა.

„პაისანდუ“ 2:3 წაგო „ატლეტიკო პარანენსესთან“, ხოლო „ბრაზილიენსე“ „ფიგეირენსესთან“ დამარცხდა. ორივე დაცემული მომავალ სეზონში „ატლეტიკო მინეიროს“ აუბამს მხარს და დაბალ ლიგაში იბურთავებს. მეოთხე გავარდნილის ვინაობა კი ბოლო ტურში გაირკვევა.

კორინთიანსი	41	24	9	8	85:56	81
ინტერნასიონალი	41	23	9	9	72:48	78
გოიასი	41	21	8	12	65:49	71
ფლუმინენსე	41	19	11	11	77:67	68
პალმეირასი	41	19	10	12	78:63	67
ატლ. პარანენსე	41	18	7	16	75:64	61
პარანა	41	17	10	14	58:48	61
კრუზეირო	41	17	9	15	72:69	60
სანტოსი	41	16	11	14	67:68	59
ბოტაფოგო	41	16	8	17	55:56	56
სან პაულუ	41	15	10	16	74:66	55
ჟუვენტუდე	41	15	10	16	65:69	55
ფორტალეზა	41	16	7	18	58:62	55
ვასკუ და გამა	41	14	11	16	71:83	53
ფლამენგო	41	13	13	15	52:59	52
ფიგეირენსე	41	13	11	17	62:71	50
სან კაეტანო	41	13	10	18	51:59	49
პონტე პრეტა	41	14	6	21	60:79	48
კურიტიბა	41	12	10	19	50:60	46
ატლ. მინეირო	41	12	8	21	51:58	44
ბრაზილიენსე	41	10	11	20	46:64	41
პაისანდუ	41	12	5	24	62:88	41

ლადო ხომერიკი

ესაა ჩემპიონი?

ველესი აპერტურაში ჩაიკარგა

რივერ პლეიტი — ხიმნასია (ლ). სტუმრებმა მასპინძლებს არაფერი დაუთმეს და პირიქით, იქით დაამარცხეს

არგენტინა

აპერტურა. XVII ტური

ბანფილდი — სან ლორენსო 5:0, არსენალი — ლანუსი 1:2, კოლონი — ინსტიტუტო 1:1, ტირო ფედერალი — რასინგი 1:2, ველესი — როსარიო 0:2, ესტუდიანტესი — ბოკა ხუნიორსი 1:3, ინდეპენდიენტე — ოლიმპო 4:0, ოლდ ბოისი — არგ. ხუნიორსი 3:0, კილმესი — ხიმნასია (ხ) 2:2, რივერ პლეიტი — ხიმნასია (ლ) 1:3

აპერტურას დასრულებამდე ორი ტურით ადრე არგენტინის ჩემპიონატს „ხიმნასია ლა პლატა“ ლიდერობს — პედრო ტროლიოს გუნდმა სტუმრად თვით „რივერ პლეიტი“ დაამარცხა და 35 ქულით ცხრილს სათავეში მოექცა, თუმც ალფიო ბასილეს „ბოკა ხუნიორსი“ ლაპლატელებს კუდში უდგას. „ბოკას“ კი, „ესტუდიანტესთან“ მოგების შემდეგ, „ხიმნასიაზე“ ერთით ნაკლები ქულა დაუგროვდა. წინ ორი ცეცხლოვანი ჯახია დარჩენილი და გაუჩოების ტემპერამენტი რომ ვიცით, ალბათ თავიანთ ინჩასობას ბოლო წამამდე ანერვიულებენ...

„მონუმენტალის“ სახელგანთქმული არენა პირველ ტაიმშივე ორჯერ ააფეთქეს ლაპლატელებმა — ჯერ ლუკას ლობოსმა გაიტანა, მერე კი გონსალო ვარგასმა ისარგებლა მცველების შეცდომით და მეორე ბურთი შეაგდო. მასპინძელთა კაპიტანმა და ლიდერმა მარსელო გალიარდომ კი მსაჯის გინებისთვის წითელი ბარათი მიიღო.

ვარგასი შეუჩერებელი გახლდათ. შესვენების მერე მან ტაბლოზე 0:3 აანთო და საბოლოოდ დაადუმა „მონუმენტალის“ ისედაც გულდამდუღრული ფანობა.

მოკლედ, „რივერ პლეიტმა“ 17 თამაშში მეშვიდე ფიასკო იწვნია. იქაური სპორტული მედიაც ამას აღნიშნავს, წლევანდელი აპერტურა „რივერის“ ისტორიაში ყურყუმა, შავი ფურცელი არისო. მასპინძელთაგან ერთადერთი, პრესტიჟის გოლი, გასტონ ფერნანდესმა 83-ე წუთზე შეაგდო.

ვიდრე სხვა თამაშებზე მოგახსენებდეთ, ისიც ვთქვათ, რომ „ხიმნასია ლა პლატა“ არასდროს გამხდარა არგენტინის ჩემპიონი, არადა, 118 წლის გუნდია.

ცოტა უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ „ესტუდიანტესის“ არენაზე თავმოყრილი ფანები მშობლიურ გუნდს კი არა, მეტოქე „ბოკა ხუნიორსს“ ქომაგობდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ „სტუდენტების“ მოგების შემთხვევაში, მათი მოსისხლე მტერი, თანაქალაქელი „ხიმნასია“ იხეირებდა, ეს კი ლა პლატას თეთრ-ალისფერი ნაწილისთვის სიკვდილის ტოლფასია.

„ბოკას“ გამარჯვების გოლები პაბლო ლედესმამ, როდრიგო პალასიომ და გილერმო ბაროს შელოტომ გაიტანეს. დამხვდურთაგან თავი ადრიან ბასტიამ გამოიჩინა.

„ბოკას“ მომავალ ტურში ომი „ინდეპენდიენტესთან“ მოუწევს, იქამდე კი ზეგ, ჩილეს „უნივერსიდად დე კათოლიკას“ უნდა შეერკინოს სამხრეთ ამერიკის თასის ნახევარფინალში.

„ველეს სარსფილდი“ „როსარიო სენტრალთან“ წაგებით ჩემპიონატის ლიდერს 6 ქულით ჩამორჩა და ჩემპიონობის შანსიც ქარს გაატანა. „ველესი“ შარშანდელი ჩემპიონია, წლეულსაც ივივეს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა ბოლო ოთხი თამაში წააგო და...

ხიმნასია (ლ)	17	11	2	4	27:18	35
ბოკა ხუნიორსი	17	10	4	3	32:16	34
ინდეპენდიენტე	17	8	7	2	32:18	31
ველესი	17	9	2	6	20:14	29
არგ. ხუნიორსი	17	8	3	6	18:17	27
ბანფილდი	17	5	11	1	23:13	26
რივერ პლეიტი	17	8	2	7	29:20	26
ესტუდიანტესი	17	8	2	7	20:19	26
სან ლორენსო	17	7	4	6	30:34	25
ოლიმპო	17	5	8	4	17:19	23
ლანუსი	17	5	7	5	19:15	22
რასინგი	17	6	3	8	26:26	21
კოლონი	17	5	5	7	22:26	20
როსარიო	17	5	5	7	17:26	20
ოლდ ბოისი	17	5	4	8	25:26	19
არსენალი	17	4	7	6	20:22	19
კილმესი	17	4	6	7	18:24	18
ხიმნასია (ხ)	17	2	8	7	21:29	14
ინსტიტუტო	17	2	8	7	9:23	14
ტირო ფედერალი	17	3	2	12	20:30	11

სარგებელი ᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲝ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოზით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა

30 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	1	სანდერლენდი-ლივერპული	7.00	3.80	1.45	2.46	1.20	1.04

შოტლანდია. პრემიერლიგა

3 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	36	რეინჯერსი-ფოლკირკი	1.30	4.40	8.00	1.00	1.11	2.83
19:00	38	დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი	3.50	3.10	1.95	1.64	1.25	1.19
19:00	40	მოზერუელი-ინვერნესი	2.05	3.10	3.30	1.23	1.26	1.59
19:00	41	ჰართსი-ლივინგსტონი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
19:00	43	დანფერმლაინი-კილმარნოკი	2.75	3.00	2.35	1.43	1.26	1.31

4 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	44	აბერდინი-სელტიკი	5.50	3.80	1.50	2.24	1.17	1.07

შოტლანდია. I დივიზიონი

29 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	468	სტ.მირენი-ერდრი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31

შოტლანდია. II დივიზიონი

29 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	467	ეარი-ფორფარი	2.25	3.40	2.65	1.35	1.21	1.48

გერმანია. I ბუნდესლიგა

3 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:30	61	შტუტგარტი-ბაიერნი	3.70	3.20	1.95	1.71	1.27	1.21
18:30	63	ვერდერი-დუისბურგი	1.30	4.50	9.00	1.00	1.13	3.00
18:30	65	კაიზერსლაუტერნი-აინტრახტი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
18:30	66	დორტმუნდი-ჰანოვერი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
18:30	67	ჰამბურგი-კიოლნი	1.45	3.90	6.80	1.05	1.19	2.47
18:30	68	მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი	1.65	3.50	4.60	1.12	1.21	1.98
18:30	70	არმინია-შალკე	3.20	3.10	2.20	1.57	1.30	1.28

4 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:30	71	მაინცი-ვოლფსბურგი	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
20:30	72	ლევერკუზენი-ჰერტა	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52

ავსტრია. I დივიზიონი

29 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	108	ლინცერი-ალტახი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
22:00	109	აუსტრია(ლ)-გრაზკორნი	1.50	3.50	5.90	1.04	1.19	2.19
22:00	110	შვანენშტადტი-კაფენბერგი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
22:00	111	ლეობენი-კერნტენი	3.40	3.00	2.00	1.59	1.25	1.20
22:00	112	აუსტრია(მ)-კუფშტაინი	1.40	3.80	6.80	1.02	1.16	2.43

იტალია. სერია A

3 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	127	კიევო-მილანი	4.40	3.20	1.80	1.85	1.27	1.15
23:30	128	ინტერი-ასკოლი	1.25	4.80	10.00	1.00	1.11	3.24

4 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	130	პალერმო-კალიარი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
18:00	132	სამპდორია-ემპოლი	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82
18:00	133	ფიორენტინა-იუვენტუსი	2.95	2.90	2.40	1.46	1.32	1.31
18:00	134	უდინეზე-ლივორნო	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
18:00	135	ტრევიზო-მესინა	2.45	3.00	2.80	1.34	1.30	1.44
18:00	136	რეჯინა-პარმა	2.05	3.00	3.60	1.21	1.30	1.63
18:00	137	ლაციო-სიენა	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
23:30	138	ლეჩე-რომა	3.70	3.10	2.00	1.68	1.29	1.21

ესპანეთი. I დივიზიონი

3 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	171	ბილბაო-ატლეტიკო	2.45	3.00	2.80	1.34	1.30	1.44
21:00	173	სელტა-ბეტისი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
23:00	175	რეალი-ხეტაფე	1.40	4.30	6.70	1.05	1.15	2.61

4 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	172	ვილიარეალი-ბარსელონა	3.65	3.10	2.00	1.67	1.29	1.21
23:45	176	სევილია-დეპორტივო	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
20:00	177	ალავესი-მალიორკა	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
21:00	178	მალაგა-ოსასუნა	2.50	3.00	2.65	1.36	1.28	1.40
20:00	180	რასინგი-სოსიედადი	2.35	3.00	3.00	1.31	1.31	1.50
20:00	181	ესპანიოლი-ვალენსია	2.90	3.00	2.40	1.47	1.31	1.33
20:00	182	კადისი-სარაგოსა	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57

საფრანგეთი. I დივიზიონი

3 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:15	194	ლიონი-პსჟ	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
23:00	195	სტრასბური-სოშო	2.45	2.90	2.80	1.32	1.30	1.42
23:00	196	ოსერი-ნანტი	1.70	3.30	4.80	1.12	1.25	1.95
23:00	198	აიაჩო-ტრუა	2.05	3.00	3.50	1.21	1.29	1.61
23:00	199	მეცი-ტულუზი	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
23:00	200	მონაკო-ლე მანი	1.65	3.20	5.20	1.08	1.25	1.98

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	201	ბორდო-ლილი	1.95	3.00	3.80	1.18	1.28	1.67
		4 დეკემბერი						
21:00	202	რენი-ნიცა	1.85	3.20	3.90	1.17	1.25	1.75
23:45	203	ლანსი-სტ.ეტიენი	2.10	2.90	3.45	1.21	1.30	1.57
21:00	204	ნანსი-მარსელი	2.55	2.80	2.80	1.33	1.33	1.39
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		29 ნოემბერი						
23:00	461	ვიტესი-ვალვაიკი	1.90	3.40	3.60	1.21	1.24	1.74
		30 ნოემბერი						
23:00	462	ტვენტე-სპარტა	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
23:00	463	ნაიმეგენი-ტილბურგი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
23:00	464	ბრედა-ეროინინგენი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
		უეფას თასი						
		30 ნოემბერი						
23:45	400	მაკაბი(ფთ)-ლოკომოტივი(მ)	4.50	3.40	1.70	1.93	1.23	1.13
23:45	401	სტიაუა-ჰალმსტადი	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94
23:45	402	გრასჰოპერი-დნიპრო	1.55	3.50	5.30	1.07	1.19	2.10
23:45	403	ლიტექსი-ალკმაარი	2.65	3.00	2.45	1.40	1.27	1.34
23:45	404	ბრიონდბიუ-ესპანიოლი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
23:45	405	სამპდორია-ჰერტა	1.95	3.10	3.70	1.19	1.27	1.68
23:45	406	სლავია-მონაკო	2.60	3.10	2.55	1.41	1.28	1.39
23:45	407	ცსკა(ბულ)-ვიკინგი	1.65	3.50	4.70	1.12	1.22	2.00
		1 დეკემბერი						
23:45	408	ცრვენა ზვეზდა-რომა	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
23:45	409	ბაზელი-ტრომსიო	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
21:30	410	ლევსკი-მარსელი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
21:30	411	დინამო(ბქ)-ცსკა(მ)	3.10	3.30	2.05	1.59	1.23	1.26
23:45	412	რაპიდი(ბ)-პაოკ	1.60	3.50	5.30	1.09	1.22	2.10
23:45	413	რენი-შახტარი	2.20	3.10	3.10	1.28	1.28	1.54
23:45	414	სევილია-ვიმარაეში	1.35	4.30	7.50	1.02	1.14	2.73
23:45	415	ბეშიქთაში-ზენიტი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
		ინგლისი. თასი						
		29 ნოემბერი						
23:45	416	დონკასტერი-ასტონ ვილა	5.00	3.50	1.60	2.05	1.21	1.09
23:45	417	მილუოლი-ბირმინგემი	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15
23:45	422	არსენალი-რედინგი	1.45	4.00	5.50	1.06	1.14	2.31
		30 ნოემბერი						
23:45	418	ჩარლტონი-ბლექბერნი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
23:45	419	მიდლსბრო-კრ. პალასი	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09
23:45	420	ბოლტონი-ლესტერი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
23:45	421	უიგანი-ნიუკასლი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
23:45	423	მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ესპანეთი. თასი						
		30 ნოემბერი						
23:45	448	ალკოიანო-ატლეტიკო	6.60	3.50	1.45	2.28	1.18	1.02
23:45	449	სერესი-სარაგოსა	2.65	3.30	2.35	1.46	1.24	1.37
		ბელგია. თასი						
		30 ნოემბერი						
23:30	451	ვარეგემი-ბრიუგე	3.30	3.40	2.00	1.67	1.24	1.25
		იტალია. თასი						
		29 ნოემბერი						
23:45	444	მილანი-ბრეშა	1.25	4.80	10.00	1.00	1.11	3.24
		30 ნოემბერი						
21:00	445	ატალანტა-უდინეზე	2.45	3.10	2.65	1.36	1.27	1.42
23:45	446	პარმა-ინტერი	3.90	3.20	1.85	1.75	1.25	1.17
		1 დეკემბერი						
23:45	447	ფიორენტინა-იუვენტუსი	2.50	3.10	2.60	1.38	1.27	1.41
		ჰოკეი. შვედეთი						
		29 ნოემბერი						
22:00	546	ლეკსანდი-ფერიესტადი	2.90	4.20	1.75	1.71	1.09	1.23
22:00	547	ლინჩიოპინგი-ფრიოლუნდა	2.10	4.10	2.25	1.38	1.08	1.45
22:00	548	ლულეო-მოდო	1.75	4.20	2.90	1.23	1.09	1.71
		ჰოკეი. ფინეთი						
		29 ნოემბერი						
20:30	564	ილვესი-ესპოო	2.00	4.10	2.40	1.34	1.09	1.51
20:30	565	ჰელსინკი-სეიპა	1.50	4.50	3.40	1.12	1.04	1.93
20:30	566	პელიკანსი-ესეტი	2.50	4.20	1.85	1.56	1.06	1.28
20:30	567	ტურკუ-ტაპარა	2.15	4.00	2.30	1.39	1.11	1.46
20:30	568	იუვესკიულე-იოკერიტი	1.80	4.30	2.60	1.26	1.06	1.62
20:30	569	ლუკო-ჰაამეენლინა	2.30	4.20	2.00	1.48	1.06	1.35
20:30	570	კერპეტი-კალპა	1.30	5.00	5.00	1.03	1.03	2.50
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		29 ნოემბერი						
21:30	590	სპარტა-კლადნო	1.60	4.20	3.30	1.15	1.07	1.84
		2 დეკემბერი						
20:00	591	ზლინი-ვიტკოვიცე	1.80	4.10	2.60	1.25	1.06	1.59
20:00	592	ტრუინეკი-ვსეტინი	1.55	4.30	3.50	1.13	1.07	1.92
20:30	593	ზნოიმო-სლავია	2.20	4.10	2.10	1.43	1.07	1.38
20:30	594	კლადნო-ლიბერეკი	2.30	4.00	2.00	1.46	1.06	1.33
20:30	595	პლზენი-ბუდეიოვიცე	1.90	4.10	2.50	1.29	1.07	1.55
21:00	596	პარდუბიცე-ლიტვინოვი	1.60	4.20	3.30	1.15	1.07	1.84
21:30	597	სპარტა-კარლოვი ვარი	1.60	4.20	3.30	1.15	1.07	1.84

ჯერ ბრძოლა, მერე ქორწილი

რუსთაველებს ნიკორასი არ ეშინიათ

დღეს „დინამო“ სტუ-ს ეთამაშება და საინტერესო ბრძოლაცაა მოსალოდნელი, თუმც საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ტურის ცენტრალურ მატჩად „თსუ-ნიკორასა“ და „აზოტის“ შერკინება მონათლა. მიზეზი ალბათ ისაა, რომ ამ მატჩს რუსთავი მასპინძლობს, საიდანაც ჯერ არავინ წამოსულა იოლი გამარჯვებით.

პირველ წრეში მეტალურგთა ქალაქიდან ორი ქულა „ავიამშენმა“, „დინამომ“ და სტუ-მ წამოიღეს, თუმც ყველა შეხვედრაში სტუმრებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მასპინძელთა გასატეხად.

თსუ-ს გამთამაშებელი ირაკლი მაისურაძე, მწვრთნელი მამუკა ტურაშვილი და ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძე

რუსთავში სტუმრობის ჯერი ახლა ჩემპიონატის ლიდერ „თსუ-ნიკორას“ დაუდგა, რომელსაც ძირითადი ცენტრი დავით მუშკუდიანი ირანში წაუვიდა. საამმატჩო პრესკონფერენციაზე, კაფე „მსოფლიო სპორტში“, გუნდების თავკაცებმა მოახლოებულ შერკინებაზე უფრო ვრცლად ისაუბრეს.

მამუკა ტურაშვილი, „თსუ-ნიკორას“ მთავარი მწვრთნელი:

„აზოტთან“ მატჩს ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ვხვდებით. რამდენიმე მოთამაშე უვარჯიშებელია, დავით მუშკუდიანმა კი საერთოდ დატოვა გუნდი და სათამაშოდ ირანში წავიდა. მართალია, რუსთაველები ტანმაღალი მოთამაშეებით ვერ დაიკვეხნიან, თუმც მუშკუდიანი ფარქვეშ ძალიან დაგვაკლდება.

მიხეილ ფანჩულიძეს ტრავმა ჰქონდა და რამდენიმე დღეა, არ უვარჯიშია. თუ მან ხვალ „აზოტის“ წინააღმდეგ ითამაშა, ძალიან გაუჭირდება. ფორმაში არ არიან გიორგი მარხვაშვილი და ლაშა კეშელავაც. ახლახან ორივემ ცოლი მოიყვანა და არ უვარჯიშიათ. ისინი ალბათ ითამაშებენ რუსთავში, მაგრამ რამდენად იქნებიან მზადყოფნაში, ძნელი სათქმელია...

მიუხედავად ამისა, რუსთავში მოსაგებად მივდივართ და ძალიან გვინდა, წაუგებელი სერია გავაგრძელოთ. ურთულესი ბრძოლა რომ გველის, კარგად ვიცით. „აზოტის“ ქომაგობა გუნდის მეექვსე კალათბურთელია“.

ამირან ხაჩიძე: „აზოტის“ აღმასრულებელი დირექტორი:

„სამწუხაროდ, არც ჩვენ გვყავს ოპტიმალური შემადგენლობა. ლევან ჩაჩუა დისკვალიფიცირებულია, დავით არწივიძეს კი ტრავმა აწუხებს და არ ვიცით, ითამაშებს თუ არა. „თსუ-ნიკორასთან“ მატჩისთვის დიდი მონდომებით ვემზადებით და რადგან მასპინძლები ვართ, მოგების იმედიც გვაქვს. წინა მატჩებში დასანანად დავმარცხდით და ახლა შევეცდებით, არ შევრცხვეთ საკუთარი მაყურებლის წინაშე.“

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი



კარტერი და ბრაიანტი...

27 ნოემბერი

ატლანტა 75:77 პორტლენდი

ატლანტა: ლუ (4), ჯონსონი (15), სმიტი (14), ჰარინგტონი (16), ფაჩულია (36 წუთი, 15 ქულა, 10 მოხსნა, 1 პასი); ჩილდრესი (8), სტუდემაიერი (2), უილიამსი (1), ედვარდსი

პორტლენდი: ტელფაირი (2), მონია (4), მაილზი (12), რენდოლფი (24 ქულა, 15 მოხსნა), პრუიბილა (5); ვებსტერი (10), რეთლიფი (8), ჯეკი (8), აუთლიო (4), სმიტი

ლეიკერსი 96:102 ნიუ ჯერსი

ძირითადი დრო 94:94

ლეიკერსი: ბრაიანტი (46), კუკი (14)

ნიუ ჯერსი: კიდი (36 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), კრსტიჩი (20 ქულა, 13 მოხსნა), ჯეფერსონი (10 ქულა, 10 მოხსნა), კარტერი (10)

კლიპერსი 92:97 ინდიანა

კლიპერსი: ბრენდი (22 ქულა, 10 მოხსნა), კამანი (18 ქულა, 12 მოხსნა), მეჯიტი (15)

ინდიანა: არტესტი (22), კროშერი (17), ონილი (16 ქულა, 13 მოხსნა), ჯეკსონი (15), ტინსლი (15)

ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსს“ კარგი შანსი ჰქონდა, უფერული და ზედიზედ 9-მარცხიანი დებიუტი ზედიზედვე მესამე მოგებით გამოესყიდა. ჯორჯიელებს სულ ცოტა დააკლდათ დასავლელი სტუმრის „პორტლენდის“ წასაქცევად.



...ბრაიანტი და კარტერი

ზაზამ ხელები აღმართა

ფაჩულიამ ორმაგი დუბლების კეთება ლამის ყოველდღიურ საქმედ იქცია, „პორტლენდთან“ 15 ქულა და 10 მოხსნა შეაწია თავისიანებს. ამგვარად, მას 12 მატჩში 7 წყვილდუბლი დაუგროვდა.

ჩვენი ნბა-ელი ქართველებისგან კარგა ხნის წინ შევეჩვიეთ უფერულ და შეუმჩნეველ ციფრებს და ზაზას კარგი სტატისტიკა, ცხადია, ყველას გვსიამოვნებს, მაგრამ ჩვენებურმა „ჰოქსი“ მარცხს ვერ აარიდა და საწყენიც ესაა — საფინალო სირენამდე 1.3 წამით ადრე, 75:75 ანგარიშზე, პორტლენდელმა დარიუს მაილზმა სწორედ ფაჩულიას ხელებს ზემოდან ჩააგდო სტუმართა გამამარჯვების მაუწყებელი ბურთი. არადა, ოვერტაიმში რა მოხდებოდა და მოგება ვის დარჩებოდა, დევიდ შტერნმაც არ უწყის.

სამაგიეროდ, ოვერტაიმიანი გამოვიდა „ლეიკერს“ — „ნიუ ჯერსის“ ჯახი. 2002 წლის ფინალისტებმა გვარიანად გააწამეს ერთმანეთი. პირველ ყოვლისა, ყველას აინტერესებდა მასპინძელ კობი ბრაიანტისა და სტუმარ ვინს კარტერის დუელი. ჰოდა, კობიმ აშკარად დაჩაგრა ვინსი, მხოლოდ 10 ქულა ჩააგდებინა, თავად კი 46 მოიხვეჭა, რაც ამ სეზონში სარეკორდოა არა მხოლოდ მისთვის, არამედ საერთოდ ყველასთვის. ისინი მესამე მეოთხედში წაკინკლავდნენ კიდეც- მაგრამ ამ ორის დაპირისპირებაში მესამე ჩაერია და ეს მესამე კარტერის თანგუნდელი ჯეისონ კიდი გახლდათ. კიდს ლამის მთელი თვე ჩაუვარდა, საშუალოდ 13 ქულა და 6 პასი აბა, რა ამ სუპერგამთამაშებლის საკადრისი მონაგარია, მაგრამ „ლეიკერსთან“ მან ძველი კიდი გაგვახსენა — 36 ქულა მოიხვეჭა და სეზონის რეკორდი ერთბაშად 11 ქულით გაუმჯობესა, თან სეზონუმეტესი, 12 პასიც გასცა. მან სწორედ ოვერტაიმში იყოჩაღა და ამ ჩვენს სუპერბრაიანტს თავის „ლეიკერსიანად“ 12 შეხვედრაში მეშვიდე მარცხი აჰკიდა.

დამარცხდა მეორე ლოსანჯელესელიც. დღის მესამე მატჩში „კლიპერსმა“ პირველ ტაიმში გაუძლო „ინდიანას“ მოძალებას, მერე კი ჩამორჩა და ბოლოს თეთრი ბაირაღიც გამოკიდა.

კოტე ყორშია

ლაშას კონკურენცია არ აშინებს

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲘ ᲚᲐᲨᲐ ᲒᲣᲯᲔᲯᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ. ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲡ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲚᲐᲨᲐᲛ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲔᲑᲘ ᲣᲨᲐᲜᲡᲝᲓ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

— აქამდე ევროპის ჩემპიონი 19-წლამდელებს შორის ვიყავი, უფრო დიდებში კი ვერცხლის მედალოსანი ვარ. ასე რომ, ამ გამარჯვებამ ძალიან გამახარა, — გვითხრა ლაშა გუჯეჯიანმა.

— ახალგაზრდული ნაკრების სახელით თითქმის ყველაფერი მოიგე. საინტერესოა, მომავალშიც იჭიდავებ ახალგაზრდულში, თუ მხოლოდ დიდებში გამოხვალ?

— ეს ძირითადად ჩემს სურვილზე იქნება დამოკიდებული. ძიუდოში ახალგაზრდული ასაკი 23 წლამდე განისაზღვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ორ წელიწადს კიდევ შემიძლია საკუთარი ძალები ახალგაზრდებში გამოვცადო. ამ მხრივ პრობლემა არა მაქვს.

— საქართველოს ნაკრებში დიდი კონკურენციაა. მძიმე წონაში შენს გარდა ისეთი ძლიერი ძიუდოისტები არიან, როგორებიც ზვიად ხანჯალიაშვილი და გიორგი ყიზილაშვილია. შეძლებ პირველ ნომრად დარჩენას?

— ძალიან კარგია, რომ კონკურენციაა. ეს იმის წინაპირობაა, რომ თითოეული მაქსიმალურად დავიხარჯოთ. იყო პერიოდი, როცა ზვიად ხანჯალიაშვილს ტრავმა ჰქონდა და ფაქტობრივად უკონკურენტოდ დავრჩი. ამან, ცოტა არ იყოს, მომადუნა, ეს კი ძალიან ცუდია. ახლა კვლავ მაქსიმალურად მობილიზებული ვარ, ბევრს ვვარჯიშობ და კარგ ფორმაშიც ვარ, ეს უკრაინაშიც კარგად გამოჩნდა. ისე, დარწმუნებული ვარ, პირველნომრობას შევინარჩუნებ, თუ ღვთის წყალობით ჯანმრთელობაც ხელს შემიწყობს.

— კეთილი. უახლოესი გეგმები როგორი გაქვს?

— დეკემბერში დიდებს შორის ევროპის ჩემპიონატი მელის, რომელსაც მოსკოვი უმასპინძლებს. ახლა პატარა ტრავმა მაქვს. მანამდე, იმედია, გამივლის და პირველობაზე წარმატებით გამოვალ. წლეულს ეს ჩემი ბოლო დიდი ტურნირი იქნება, იანვრის შუა რიცხვებში კი იაპონიაში მსოფლიოს ერთ-ერთ უპოპულარულეს ტურნირზე გამოვალ. ეს შეჯიბრება ძიუდოს ფუძემდებლის ძიგარო კანოს ტურნირი იქნება. იქ როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი მიმიწვიეს. ეს ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითია, მარტო იაპონიიდან ერთ წონით კატეგორიაში 8 სპორტსმენი გამოვა, მის პოპულარობაზე კი ისიც მეტყველებს, რომ ბევრ ოლიმპიურ ჩემპიონსაც კი არ აუღია ამ ტურნირზე მედალი, ქართველთაგან კი მხოლოდ ერთს, დავით ბოდაველს გაუმარჯვია.

აქვე გეტყვით, რომ ამ ტურნირზე შარშანაც მიმიწვიეს, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ წავედი. წლეულს აუცილებლად გავემგზავრები და შევეცდები, რომ ღირსეულად გამოვიდე.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

სასტიკი და მოწყალე
ტანა უმაგა ნაკრებს ეთხოვება

ᲢᲐᲜᲐ უმაგა სანაკრებო რაგბიდან მიდის! ნამდვილად ვერ ვიტყვით, ეს ამბავი მეხივით გავარდა ოვალბურთის სამფლობელოებშიო. ახალზელანდიელი „მაორების“ ლეგენდარული კაპიტანი კრაგა ხანი ლაპარაკობდა „ოლ ბლექსთან“ შესაძლო გამოთხოვებაზე. ბალღი ხომ არაა, 32 ნახევარი წლის წინ შეუსრულდა და ამ ძვლებისდამყრელ სახეობაში ეს გვარიანი ასაკია. სწორედ ის დროა, კაცი ყოფნა-არყოფნაზე რომ ფიქრობს.

ჯონათან ფალეფასა უმაგა, უბრალოდ კი ტანა უმაგა, კივის კუნძულებზე უნიკალურ კაცად ითვლება. გარდა იმისა, რომ გახდა სამოური წარმოშობის პირველი მორაგბე, ვინც ახალი ზელანდიის ნაკრებს უკაპიტნა, იგი თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ფეძემდებლის, პიერ დე კუბერტენის სახელობის საპატიო ჯილდოს მფლობელიც გახლავთ. ამ ჯილდოს იმ სპორტსმენს ანიჭებენ, ვინც მოედანზე განსაკუთრებულ ჯანტლმენობას გამოიჩენს. არ დაგავიწყდეთ, რაგბი ჯერაც არაა ოლიმპიური სახეობა, თანაც უმაგამდე არც ერთ ახალზელანდიელ სპორტსმენს არ რგებია ეს მაღალი პატივი.

უმაგას ჯენტლმენობის გამოვლინების ეს კონკრეტული ამბავი რაგბის სამყაროში ლამის ლეგენდასავით დადის: ორი წლის წინათ ახალი ზელანდიის მომცრო ქალაქ ჰამილტონში „ოლ ბლექსი“ უელსის ნაკრებს მასპინძლობდა. ერთ ეპიზოდში უმაგა თავისიანებს შეტევაში და მეტოქის ლელოს მოოხრებაში რომ მიშველებოდა, ზედახორაში ერთ-ერთი ახალზელანდიელისგან სასტიკად ჩაწიხლული უელსელთა კაპიტანი გოლინ შარვისი საკუთარ ენას გადაყლაპავდა და მოედნიდან ეგებ მკვდარიც გაეტანათ. მაგრამ უმაგა უმალ სულთმობრძავ შარვისთან გაჩნდა და მიქელგაბრიელს ხელებიდან გამოსტაცა.

კეისარს კეისრისაო და, ცოტა ხნით ყველამ დაივიწყა, რომ თავად ტანას წიხლს და მუშტს არაერთი მეტოქის ძვალი ჩამსხვრევია... მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მბოჭველია, მოიერიშეს რომ მოიხელთებს, სულ ძვალსა და რბილს უერთიანებს. არავის უხარია მის წინააღმდეგ თამაში, მოედანზე მონღოლი დამპრყრობელივით ვერაგია და უმოწყალო.

მაგრამ მისი დრო თანდათან მიიპარება. წლებს თავისი მიაქვთ და ტრავმები მოაქვთ. თავადაც არაერთხელ დამტვრეულა — 2003 წლის მსოფლიოს თასზე პირველივე შეხვედრაში, იტალიასთან, დაშავდა და ამ დიდ სარაგბო ფორუმს გამოაკლდა. „მაორები“ დღემდე ჩივიან, ტანა რომ გვყოლოდა, თასი ჩვენ დაგვრჩებოდაო...

უმაგამ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში თქვა, შემოდგომის ტესტმატჩებით დავამთავრებ სანაკრებო კარიერასო. შემოდგომამაც ჩაიარა, მისი კაპიტნობით „ოლ ბლექსმა“ ძლევამოსილი ლაშქრობა მოაწყო ევროპაში — მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისის ნაკრები დაამარცხა, უელსიც, ირლანდიაცა და შოტლანდიაც და შინ დიდი სლემით ბრუნდება.

ტანას ჯერ საბოლოოდ არ დაუქნევია ხელი „ოლ ბლექსისთვის“, მაგრამ ალბათ ეს დღეც არაა შორს, როცა წერტილს დასვამს.

„ძალიან მინდა, 2007 წლის მსოფლიოს თასზე ვითამაშო, მაგრამ არ ვიცი, ჩემი სხეული თუ მომცემს ამის ნებას, — ამბობს უმაგა. — თან ოჯახი მყავს, ჩემი შვილები იზრდებიან და ვერაფერი მაიძულებს დავივიწყო, რომ ისინი მიყვარს“.

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲩᲘᲐ

ლონდონის ოლიმპიური ეკონომია

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამზადისით დაკავებული საორგანიზაციო კომიტეტის მეთაურმა სებასტიან კოემ თქვა, რომ ჩვენი საგანაცხადო კამპანიისას 1,4 მილიონი ფუნტი სტერლინგის ეკონომია გავწიეთო.

სულ საგანაცხადო კომიტეტისთვის გამოყოფილი იყო 29,1 მილიონი ფუნტი. კოეს თქმით, ეკონომიის რეჟიმი თავად ოლიმპიური თამაშების დროსაც გაგრძელდება.

მოსკოვს მეორე თამაშები მოუნდა

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ მერი იური ლუჟკოვი ამბობს, რომ გვინდა მოსკოვში კვლავ ჩავატაროთ მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშებიო.

„ᲔᲣᲠᲘ ᲚᲣᲟᲙᲝᲕᲛᲐ თქვა, რომ იგი გეგმავს ამ მასშტაბური, კომპლექსური ღონისძიების მოწყობას 2007 წელს, რისთვისაც მან თხოვნით მიმართა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას (იაიაფ), რათა მხარი დაუჭიროს „ყველა დონეზე“. ამის პასუხად იაიაფ-ის პრეზიდენტი ლამინე დიაკი ლუჟკოვს დაპირდა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერას გაგინაღდებთო.

ლუჟკოვმა ისიც თქვა, რომ ორი წლის განმავლობაში მოსკოვში აშენდება და ექსპლუატაციაში გადაეცემა სპეციალიზებული მძლეოსნური სტადიონიო.

ჰაკეტი ბორტს მილმა

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚᲘ ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში გრანტ ჰაკეტი ახალ სეზონში მხარის ტრავმის გამო რამდენიმე დიდ შეჯიბრებას გამოტოვებს, უახლოეს დროში კი მას ოპერაციას გაუკეთებენ.

„მხარის პრობლემა ჯერ კიდევ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამიჩნდა. ახლა ტკივილი ისე გამრთულდა, რომ უოპერაციოდ არაფერი გამოვა,“ — თქვა ჰაკეტმა.

ჰაკეტის მწვრთნელი დენის კოტერელი უფრო კატეგორიული იყო:

„მისი სხეული დაუყოვნებლივ მკურნალობას და შემდგომ დასვენებას ითხოვს“.

ამგვარად, ჰაკეტი გამოტოვებს გაისად მელბურნში მარტში გასამართ თანამეგობრობის თამაშებს, მერე აპრილში შანხაიში დანიშნულ მსოფლიოს ჩემპიონატს „მოკლე წყალში“, აგრეთვე, აგვისტოში დაგეგმილ წყნარი ოკეანის სანაპიროს ქვეყნების ჩემპიონატს.



ფანცულაია მომდევნო ეტაპზე გავიდა

მსოფლიოს თასი

სანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

I ეტაპი (განმეორებითი შეხვედრები)

ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია)	0,5:0,5	ბაადურ ჯობავა (საქართველო)	(1:1)
ზვიად იზორია (საქართველო)	0,5:0,5	სერგეი ერენბურგი (ისრაელი)	(1:1)
ლევან ფანცულაია (საქართველო)	0:5:0,5	ვადიმ მილოვი (შვეიცარია)	(1,5:0,5)
ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო)	1:0	მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)	(1:1)

ფრჩხილებში მოცემულია საერთო ანგარიში

ფანცულაია პირველი ქართველია

ახალგაზრდა ქართველმა დიდოსტატმა ლევან ფანცულაიამ ვადიმ მილოვი 1,5:0,5 დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. პირველ მატჩში ჩვენიანმა შავი ფიგურებით მოუგო მეტოქეს და მეორეში მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ყაიმიც ჰყოფნიდა.

ფანცულაიამ ლაზიერის გამბიტით დაიწყო შეხვედრა, პაიკები გამოიყვანა წინ და მსუბუქი ფიგურებით შეტევაზე გადავიდა. მილოვმა მე-8 სვლაზე როქი ითამაშა, ლაზიერი ცენტრში გამოიყვანა და მეტოქეს საპასუხოდ დაარტყა. ქართველმა ლაზიერი გაცვალა, სტრატეგია განავითარა და შავების მეფეს ეტლით დაემუქრა. მილოვმა საკუთარი ეტლები მეფის დასაცავად გაუშვა, რამდენიმე ფიგურა გაუცვალა ქართველს და 61-ე სვლაზე მისთვის სავალალო ყაიმს დაყაბულდა.

იმარჯვა წინა ტურში დამარცხებულმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ტაიბრეიკში თამაშის უფლება მოიპოვა. ქართველმა მაგნუს კარლსენი 53-ე სვლაზე დაამარცხა.

ტაიბრეიკები დღეს გაიმართება.

ლაშა გეგეჭკორი

მინარდი მეორე წითელი ხარი გახდა

პოლ სტოდარტმა (მარცხნივ) „მინარდი“ სარფიანად გაყიდა

საპირველფორმულო ტრასებზე 21-წლიანი ჯირითის შემდეგ არსებობა შეწყვიტა იტალიელ ჯანკარლო მინარდის მიერ შექმნილმა გუნდმა. ამ ხნის განმავლობაში „პატარა სკუდერიის“ მანქანებით 37-მა პილოტმა 340-ჯერ გაირბოლა, თუმც ერთი დიდი პრიზის მოგებაც ვერ შეძლეს.

წლეულს „მინარდის“ ღირსებას იცავდნენ ჰოლანდიელები: კრისტიან ალბერსი, რობერტ დორნბოსი და ავსტრიელი პატრიკ ფრიზახერი. შედეგი ამჯერადაც უსახური იყო — სამ მძღოლზე სულ რაღაც შვიდიოდე ქულა და კონსტრუქტორთა თასზე ბოლო, მეათე ადგილი.

მინარდელებმა ამ დღეებში რომის მახლობლად, ვალელუნგას ტრეკზე გამოსათხოვარი სატესტო სერია გამართეს, რითაც წერტილი დაესვა საჯინიბოს არსებობის ხანგრძლივ ისტორიას. იტალიური გუნდის ავსტრალიელმა მეპატრონემ, მილიარდელმა პოლ სტოდარტმა ჯანკარლო მინარდისგან ხუთი წლის წინათ შეძენილი ბიზნესი 75 მილიონ დოლარად გაყიდა.

„სამეფო რბოლებთან“ გამოთხოვება გულის ამაჩუყებელი იყო. ოთხდღიანი ტესტების ბოლოს ბლომად შეკრებილი გულშემატკივრებისა და ახლობლების თანდასწრებით „მინარდი **OS05**“-ის საჭეს თავად სტოდარტი მიუჯდა და ტრასას სიმბოლურად ხუთჯერ შემოუარა:

„მინდოდა, „მინარდის“ ბოლო პილოტად დავრჩენილიყავი. მანამდე არასოდეს ვმჯდარვარ ჩემს ბოლიდში, არც ტრასას ვიცნობდი, ამიტომ ხუთი წრე მშვიდი სვლით გავიარე. ეს იმაზე ბევრად ამაღელვებელი მომენტი იყო, ვიდრე მოველოდი. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ცხოვრების ბოლო ხუთი წელიწადი დაუვიწყარი იყო. ძალიან მწყინს, რომ „მინარდის“ სახელი ფორმულა 1-ს ტოვებს, მაგრამ იმედი მაქვს, გუნდის სული ახალი მფლობელის ხელშიც იცოცხლებს და უფრო დიდი ბიუჯეტით მაღალ შედეგებს მიაღწევს.“

„მინარდი“ მთელი ავლადიდებით და ტექჰერსონალით შეიძინა ევროპაში ერთ-ერთმა უმდიდრესმა პიროვნებამ, მატონიზირებელი სასმელების კონცერნ „რედ ბულის“ მეპატრონე დიტრიხ მატეშიცმა, რომელიც უკვე ორი წელიწადია ფლობს ამავე სახელწოდების საფორმულო გუნდს. „რედ ბულმა“ წლევანდელი სეზონი 34 ქულით და „მინარდიზე“ სამი ადგილით მაღლა დაასრულა.

„რედ ბულმა“ (წითელი ხარი) სახელი შეინარჩუნა, ხოლო „მინარდის“ ამიერიდან „სკუდერია ტორო როსო“ ჰქვია, რაც იტალიურად სწორედ იგივეს, წითელ ხარს ნიშნავს. გუნდის უფროსად დაინიშნა 49 წლის ფრანც ტოსტი, რომელიც მანამდე „BMW მოტორსპორტში“ მუშაობდა. მრბოლების ვინაობას რამდენიმე დღეში შევიტყობთ.

ცნობისთვის, ავსტრიელი მატეშიცი ფლობს აგრეთვე ფეხბურთის კლუბ „ზალცბურგს“, რომელიც სადღეისოდ ლიდერობს ამ ქვეყნის ჩემპიონატს.

ნახსენებ ვალელუნგას ტესტებში ახალგაზრდა, მომავლის პილოტებმა გაივარჯიშეს. რაც ყველაზე საინტერესოა, ორი დღე იქროლა 25 წლის ინგლისელმა ლედი-დრაივერმა კეტრინ ლეგმა. პირველ დღეს მან მხოლოდ ორი წრის გავლა შეძლო, მერე კი ბოლიდი ბარიერს მიალეწა. კეტრინმა მეორე დღეს ალღო აუღო მისთვის აქამდე უცხო, ურთულეს ტექნიკას და სრულად შეასრულა დაგეგმილი პროგრამა (27 წრე).

ცხადია, ძნელი წარმოსადგენია ლედი ფორმულა ერთის ჩემპიონატში გამოჩნდეს მისი უდიდესი სურვილ-მონდომების მიუხედავად. ყოველ შემთხვევაში, ეს თუ მოხდება, სულ ცოტა, ორი-სამი წლის შემდეგ.

გია ახალაძე

რეგულარული ჩემპიონატი

რაფის გეგმა — მიანწექით და დაღალეთ სანამ ბერტუცის უსტვენდნენ

27 ნოემბერი

კაროლინა 2:5 ატლანტა

1:2 1:0 0:3

0:1 სავარი (5), 0:2 კოვალჩუკი (9), 1:2 ლადი (16), 2:2 უორდი (39), 2:3 ჰოსა (53), 2:4 კოვალჩუკი (56), 2:5 ვიჟიე (59)

ილია კოვალჩუკი ან საერთოდ არ ჩანს, ან პირიქით, შეუჩერებელია. ამჯერად ფორვარდმა 2 გოლი და 2 პასი მიითვალა, თანაც მეორე შაიბისთვის დაცვაშიც გაისარჯა — მოედნის შუაგულში ერიკ სტაალს აართვა შაიბა და მეკარესთან პირისპირ გასულს გატანა აღარ გასჭირვებია.

კოლორადო 6:2 ვანკუვერი

4:0 0:1 2:1

1:0 ჰეიდუკი (1), 2:0 ბრიუნეტი (5), 3:0 საკიკი (12), 4:0 სვატოში (19), 4:1 მორისონი (35), 4:2 ალენი (49), 5:2 ჰაინოუტი (53), 6:2 საკიკი (54)

სანამ ტოდ ბერტუცი „ვანკუვერში“ თამაშობს, კლუბს „კოლორადოსთან“ სტუმრად არანაირი შანსი არა აქვს. ორი წლის წინათ იგი სასტიკად მოექცა სიე მურის და ახლა ისე ხვდებიან, რომ ვერც თავად ბერტუცი და ვერც მისი გუნდი ვეღარ მოდის საბრძოლო განწყობაზე. ამჯერადაც, სანამ მაყურებლები ბერტუცის უსტვენდნენ და უყვიროდნენ, „კოლორადომ“ პირველივე პერიოდში 4 უპასუხო შაიბა გაუტანა მეტოქეს და ყველაფერი თავის სასიკეთოდ გადაწყვიტა.

ანაჰაიმი 3:1 ჩიკაგო

0:0 0:0 3:1

1:0 სელიანე (50), 2:0 ლუპული (57), 2:1 ბელი (59), 3:1 რ. ნიდერმაიერი (60)

ტამპა 4:1 პიტსბურგი

1:0 2:0 1:1

1:0 რიჩარდსი (8), 2:0 დიმაიო (25), 3:0 მოდინი (27), 4:0 მოდინი (46), 4:1 ტელბოტი (59)

ვაშინგტონი 2:3 ბუფალო

0:1 1:1 1:1

0:1 პომინვილი (4), 1:1 ემინგერი (26), 1:2 ვანეკი (40), 1:3 ჰეტტი (57), 2:3 პეტინგერი (59)

„ბუფალოს“ თავკაცმა ლინდი რაფმა ბრწყინვალედ გამოიყენა მეტოქის დაღლილობა. წინა დღეს „ვაშინგტონს“ დიდი ბრძოლა გადახდა „რეინჯერსთან“ შეხვედრაში. ძირითად დროს და ოვერტაიმს სასწაულებრივ ხანგრძლივი ბულიტების სერიაც მოჰყვა, რომელშიც მეტოქეებმა 15-15 დარტყმა შეასრულეს. დასვენებისთვის მასპინძლებს მხოლოდ 15 საათი ჰქონდათ. ასე რომ, რაფის გეგმამ — მიაწექით და დაღალეთ — სრულიად გამართლდა.

„კოლორადოს“ მეკარე დავიდ ეიბეშერმა „ვანკუვერის“ მორიგი შეტევა მოიგერია

სტუმრები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და თამაში რომ მინიმალური ანგარიშით დასრულდა, მასპინძლები მეკარე ოლაფ კოლციგს უნდა უმადლოდნენ.

სამველ ღარიბიანი

აღმოსავლეთ კონფერენცია

	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
ატლანტიკა						
რეინჯერსი	26	16	7	3	86:65	35
ფილადელფია	22	13	6	3	92:78	29
აილენდერსი	24	12	11	1	76:84	25
ნიუ ჯერსი	22	11	9	2	74:75	24
პიტსბურგი	24	7	11	6	72:103	20
ჩრდილო-აღმოსავლეთი						
ოტავა	21	18	3	0	100:45	36
მონრეალი	24	14	6	4	72:73	32
ტორონტო	24	13	8	3	86:83	29
ბუფალო	24	14	9	1	80:78	29
ბოსტონი	25	8	12	5	79:89	21
სამხრეთ-აღმოსავლეთი						
კაროლინა	23	15	7	1	81:71	31
ტამპა	26	13	10	3	82:80	29
ატლანტა	24	10	12	2	88:90	22
ვაშინგტონი	24	8	14	2	68:100	18
ფლორიდა	24	7	13	4	58:79	18

დასავლეთ კონფერენცია

	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
ცენტრი						
დეტროიტი	25	17	6	2	95:66	36
ნეშვილი	21	14	4	3	63:57	31
ჩიკაგო	23	9	14	0	63:83	18
კოლუმბუსი	24	6	18	0	44:87	12
სენტ ლუისი	22	4	15	3	58:89	11
ჩრდილო-დასავლეთი						
ვანკუვერი	24	15	7	2	77:66	32
კალგარი	25	14	8	3	63:64	31
ედმონტონი	25	14	10	1	77:73	29
კოლორადო	23	12	8	3	89:75	27
მინესოტა	22	10	10	2	62:54	22
წყნარი ოკეანე						
ლოს ანჯელესი	24	16	7	1	91:69	33
დალასი	23	15	7	1	79:67	31
ფინიქსი	26	13	11	2	71:63	28
ანაჰაიმი	25	10	11	4	64:67	24
სან ხოსე	23	8	11	4	62:79	20

თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები

წყვილად



გერმანულ ალტენბერგში მოციგავეთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი გახურებულა. წყვილად მოციგავეთა შეჯიბრში გაუმარჯვიათ გერმანელებს: სებასტიან შმიდტს (წინა) და ანდრე ფორკერს.

რუსთა საქმე

რაც გინდათ თქვით და, ეს საქმე რუსებს საუცხოოდ გამოსდით: ტატიანა ტოტმიანინა და მაქსიმ მარინინი რუსეთის თასის შეჯიბრზე ცეკვავენ. მსოფლიო დიდი პრიზის შემადგენელი ეს გათამაშება პეტერბურგში მიმდინარეობს.

მიშელი კაცებში

კოჩი კუროშიოს გოლფ-კლუბში ბლომად იაპონელი ხალხი შეკრებილა. აქ თამაშდება „კასიოს მსოფლიო ტური“. მომქნევი კი მიშელ ვაი გახლავთ, რომელიც პირველად მონაწილეობს ამ შეჯიბრში. ვაი სულ 16 წლისაა და თანაც გოგო, რაც „კასიოს“ შეჯიბრისთვის აქამდე წარმოუდგენელი იყო. კორეელ-ამერიკელ გოგოს გოლფში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელია ზურაბ ფიცხელია
დირექტორი გიორგი იქრარიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ ბურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, ვიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხოჭერია, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ალანიძე, ოთარ მაღლაკელიძე, რაული პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნაზელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ნინო ბენსელია, ხათუნა პეხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მესხიშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ ფერეული

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge